გაზეთი ზივრის. „ვერსიას“ ერთი

# ვერსია

№44 (1634) 9 — 15 ნოემბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## სისხლიანი 7 ნოემბერი ანუ წარსული, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ

გამოიყენეს თუ არა ნაციონალებმა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ფსიქოტრონული იარაღი

# ირაკლი ღარიბაშვილის საერთაშორისო ვიზიტები – ახალი შესაძლებლობები საქართველოსთვის

ამირან სალუქვაძე: „საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები ახალ ეტაპზე გადადის, რაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის“

## რა მიზნით იქმნება პაპუაშვილ... 

## ვაშაძე-ჯაფარიძე-ხოშტარიას „ტროიკა“

„ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ“ – ინტერვიუ პაატა მანჯგალაძესთან

## ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში“

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

# ირაკლი ღარიბაშვილის საერთაშორისო ვიზიტები – ახალი შესაძლებლობები საქართველოსთვის

## ამირან სალუქვაძე: „საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები ახალ ეტაპზე გადადის, რაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის“

მაკა რუხაძე

პირველად, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა თბილისში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას სჭირდება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა; პირველად, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით განაცხადა, რომ სჭირდება აზერბაიჯანული გაზი, ოღონდ საქართველოსა და რუმინეთის გავლით... თუმცა მანამდე იყო ძალიან მნიშვნელოვანი ოფიციალური ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – ბერლინში, **საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ოლაფ შოლცმა** განიხილეს საქართველო-გერმანიის მჭიდრო პარტნიორობა, რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო, საქართველოსთვის მინიჭებული ევროპული პერსპექტივა და ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, საუბარი იყო რეგიონულ და გლობალურ გამოწვევებზე, რუსეთის სამხედრო აგრესიაზე უკრაინის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ აღინიშნა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევის მნიშვნელობა ვითარების დეესკალაციისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე, 2008 წლის სამხედრო აგრესიასა და იმ უკანონო ქმედებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის ადგილზე უსაფრთხოების გარემოს. ამ ფონზე აღინიშნა გერმანიის მხარდაჭერის განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ისე რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. ხაზი გაესვა გერმანიის გამორჩეულ წვლილს ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში საქართველოში.

შეხვედრაზე მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველოსთვის ევროპული პერსპექტივის მინიჭების შესახებ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებასა და მის მნიშვნელობაზე. ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანელ კოლეგას მადლობა გადაუხადა როგორც ამ ისტორიული გადაწყვეტილების, ისე ევროინტეგრაციის პროცესში გერმანიის მიერ საქართველოს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის. რეგიონსა და მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მხარდაჭერაზე დასავლელი პარტნიორების მხრიდან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ევროპული პერსპექტივის და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის განსაკუთრებულ დატვირთვას და მნიშვნელობას საქართველოსთვის და აღნიშნა, რომ ქვეყანა ამ პროცესს დიდი პასუხისმგებლობით უდგება.

ასევე ხაზი გაესვა საქართველოს მნიშვნელოვან როლს რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის. აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და სომხეთს შორის შეიარაღებული დაპირისპირების ფონზე, კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა საქართველოს წარმატებულ მედიაციას და პრემიერ-მინისტრის სამხრეთ კავკასიის სამშვიდობო ინიციატივის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ გამოიხატა მადლიერება ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს წვლილის გამო და ხაზი გაესვა ამ პროცესში განსაკუთრებით წარმატებულ თანამშრომლობას გერმანულ მხარესთან ალიანსის სამშვიდობო მისიებში.

ესაა მცირე ჩამონათვალი იმ მნიშვნელოვანი განცხადებებიდან, რომლებიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ბოლოდროინდელი ვიზიტების ფარგლებში გაკეთდა. ნიუ-იორკში, გაეროს სამიტზე ჯერ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რეჯეპ თაიფ ერდოღანს შეხვდა, შემდეგ კი სომხეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს, ამის შემდეგ თბილისში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჩამოვიდა, რასაც მისი ვიზიტი მოჰყვა ჯერ უნგრეთში, მოგვიანებით – არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში. **აშკარაა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის საგარეო კურსი სრულიად ახალ პოლიტ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს, გნებავთ, გამოწვევებს უქმნის საქართველოს, რასაც ექსპერტთან სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, ამირან სალუქვაძესთან ერთად ვაფასებთ.**

ოქტომბრის დასაწყიში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ნიუ-იორკში, გაეროს 77-ე გენერალური ასამბლეის ფარგლებში, **სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.** პრემიერებმა აღნიშნეს, რომ საქართველო-სომხეთს შორის არსებული ურთიერთობები დინამიურად ვითარდება, რაც სამომავლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოების კარგი საფუძველია. ირაკლი ღარიბაშვილმა და ნიკოლ ფაშინიანმა სამხრეთ კავკასიაში არსებული ვითარება მიმოიხილეს. ხაზი გაუსვეს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მნიშვნელობას. ირაკლი ღარიბაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, კვლავაც შეასრულოს მედიატორის როლი და ხელი შეუწყოს რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული სტრატეგიული პარტნიორობა, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და მსოფლიოსა და კავკასიის რეგიონში არსებული უსაფრთხოების გარემო იყო **საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილისა და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის** შეხვედრის მთავარი განსახილველი საკითხები.

ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში, გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის მჭიდრო მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობას. აღინიშნა ბოლო წლებში ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელოვანი შედეგები, მაღალი დონის ორმხრივი ურთიერთობების პოლიტიკური დინამიკა და რეგიონულ-გეოსტრატეგიული ხასიათის პროექტებში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ჩართულობა და აქტიური თანამშრომლობა.

განსახილველ საკითხებს შორის იყო უკრაინაში მიმდინარე ომი და, შედეგად, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული რთული უსაფრთხოების ვითარება. ხაზი გაესვა რეგიონის შემდგომი განვითარებისა და გრძელვადიანი კეთილდღეობის უზრუნველყოფად მშვიდობისა და სტაბილურობის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში, აღინიშნა ირაკლი ღარიბაშვილის შუამავლობით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გასულ წელს მიღწეული შეთანხმება, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანმა სომეხი ტყვეები გაათავისუფლა, სომხეთმა კი, აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი რუკები გადასცა.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული ეფექტიანი თანამშრომლობის ყველა მიმართულებით კიდევ უფრო განვითარება მნიშვნელოვანია ასევე რეგიონის სტაბილური და მდგრადი განვითარებისთვის.

ამის შემდეგ, საქართველოს სამუშაო ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ილჰამ ალიევი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში გამართულ პირისპირ შეხვედრაზე, მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველო-აზერბაიჯანს შორის არსებულ განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობებსა და სტრატეგიულ პარტნიორობას. სწორედ თბილისში ვიზიტის დროს განაცხადა ილჰამ ალიევმა, რომ სომხეთის თანხმობის შემთხვევაში, მზადაა, სამშვიდობო ხელშეკრულებას მოაწეროს ხელი:

**„რეგიონში მიმდინარე მოვლენები და უსაფრთხოების საკითხები ჩვენი დისკუსიების ცენტრშია მოქცეული. ყარაბახის მეორე ომის შემდეგ, ახალი მდგომარეობა ჩამოყალიბდა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ვაცნობე მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. მიგვაჩნია, რომ ამ კონფლიქტის მოგვარებას სჭირდება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა. ხუთი ძირითადი პრინციპი უკვე გავუზიარეთ სომხეთს, იმედი გვაქვს, რომ სომხეთი პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს და დაიწყებს სამშვიდობო მოლაპარაკებებს, რათა ხელი მოაწეროს სამშვიდობო შეთანხმებას აზერბაიჯანთან. თუ ასე მოხდება, მაშინ სამხრეთ კავკასიაში დაისადგურებს მშვიდობა და ახალი შესაძლებლობები იქნება თანამშრომლობისთვის.**

**დღეს გვაქვს საშუალება, რომ კონსულტაციები გავმართოთ აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის. თუ სომხეთი მზად იქნება, მზად ვიქნებით, დღესვე დავიწყოთ ეს ფორმატი. რაც შეეხება ორმხრივ შეთანხმებასა და ფორმატს საქართველოსთან, გვიხარია, რომ სავაჭრო ბრუნვა იზრდება – ბოლო ცხრა თვის განმავლობაში, გადავცდით 1 მილიარდი დოლარის ბრუნვას. აზერბაიჯანს 3 მილიარდი დოლარი აქვს ინვესტირებული საქართველოში და მიგვაჩნია, რომ ეს იქნება ორმხრივი სარგებლის მომტანი ინვესტიციები. რა თქმა უნდა, ჩვენ ვისაუბრეთ სამომავლო ენერგეტიკულ პოლიტიკაზე, გავცვალეთ მოსაზრებები იმ პროექტების თაობაზე, რომლებიც განხორციელებული გვაქვს. საოპერაციო კუთხით ძალიან წარმატებულია ეს პროექტები და მოუთმენლად ველით ახალი პროექტების დაწყებას, რათა გაიზარდოს ბუნებრივი აირის ექსპორტი საერთაშორისო ბაზრებზე. ვაპირებთ, 22 მილიონი კუბური ტონის ექსპორტს, რასაც კიდევ უფრო გავზრდით მომდევნო წლებში.**

**წელს ხელი მოვაწერეთ ურთიერთგაგების მემორანდუმს აზერბაიჯანსა და ევროკომისიას შორის და მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, აზერბაიჯანი აპირებს, გააორმაგოს ბუნებრივი აირის ექსპორტი ევროპის მიმართულებით. ჩვენ გვაქვს ამის საშუალება და 2027 წლისთვის, ვგეგმავთ, ევრო-**

# ირაკლი ღარიბაშვილის საერთაშორისო ვიზიტები – ახალი შესაძლებლობები საქართველოსთვის

**პაში ექსპორტზე გავიტანოთ თითქმის 20 მილიარდი კუბური ტონა ბუნებრივი აირი. ბუნებრივია, ეს საკითხი განვიხილეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან. ამასობაში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი გაზრდის ექსპორტს და კიდევ უფრო დაიტვირთება. გვინდა გამოვიყენოთ ბაქო-სუფსის ტერმინალი, ვიცი, რომ ის არ არის ამჟამად მოქმედი, მაგრამ გვინდა, ეს მიმართულებაც დავტვირთოთოც. ახალი პროექტები ითვალისწინებს ელექტროენერგიის სფეროში ინიციატივების განხორციელებას. აზერბაიჯანი აპირებს, ექსპორტზე გაიტანოს ელექტროენერგია საერთაშორისო ბაზრებზე და, რა თქმა უნდა, ჩვენი მარშრუტი აუცილებლად გაივლის საქართველოს“,** – განაცხადა ილჰამ ალიევმა.

ღარიბაშვილი-ფაშინიანის შეხვედრას, ალიევის თბილისში ვიზიტსა და მის უპრეცედენტო განცხადებებს ამირან სალუქვაძე აფასებს და აცხადებს, რომ პოლიტიკა და ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მისი თქმით, არა თუ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, ბოლო 30 წლის მანძილზე, მცდელობაც კი არ გვქონია, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტებს ან პრემიერებს ამ მიმართულებით ნაბიჯები გადაედგათ:

**„ილჰამ ალიევის განცხადება ბევრ რამეზე მეტყველებს, პირველ რიგში, გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებაზე და ამ პროცესებში საქართველოს სწორ პოზიციონირებაზე. თუმცა, მეორე მხრივ, არ უნდა გამოვრიცხოთ პირადი ურთიერთობები და ნდობა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში. სხვაგვარად, შეუძლებელია, მსგავსი მედიაცია, მსგავსი სამშვიდობო ინიციატივების წარმატებით განხორციელება. რომ არა მაღალი ნდობა პრეზიდენტ ალიევსა და პრემიერ ღარიბაშვილს შორის, გნებავთ, პრემიერ ღარიბაშვილსა და პრემიერ ფაშინიანს შორის, რა თქმა უნდა, ეს კომუნიკაციები არ შედგებოდა.**

**ცოტა ხნის წინ, ევროკომისიის პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლაიენი ბაქოში იმყოფებოდა, უკრაინისა და ევროპის ენერგოკრიზისის ფონზე. რა თქმა უნდა, ეს ვიზიტი ეხებოდა აზერბაიჯანული და აზიის ენერგომატარებლების მიწოდებას ევროპისთვის. გასაგებია, რომ ეს ტრანზიტი საქართველოზეც გადის და დაინტერესებულები ვართ. როდესაც ილჰამ ალიევი ბაქოდან, ბრიუსელიდან და სხვა დედაქალაქიდან კი არა, თბილისიდან ახმოვანებს ინიციატივას, რომ ევროპაში გაზის ექსპორტს საქართველოს გავლით აპირებს, ეს განცხადება ორ სახელმწიფოსა და ორ ლიდერს შორის ნდობის მაღალ ხარისხზე მეტყველებს, ასევე, ჩვენს სწორ პოლიტიკაზე, სწორ პოზიციონირებასა და ჩვენი ქვეყნის როლზე ამ პროცესში“.**

მაშინ, როდესაც ევროპის შუაგულში, უკრაინაში სასტიკი ომი მიმდინარეობს, ილჰამ ალიევი თბილისში საუბრობს, რომ სამშვიდობო პოლიტიკა რეგიონში მნიშვნელოვანი ენერგეტიკული და ეკონომიკური პროექტებით უნდა გამყარდეს. „ვერსიის“ კითხვაზე, რა ახალი შესაძლებლობები უჩნდება ჩვენს ქვეყანას, ამირან სალუქვაძე აცხადებს:

**„მე ვახსენე ურსულა ფონ დერ ლაიენის ბაქოში ვიზიტი და პირველ რიგში, აქ აღსანიშნავია ის, რომ ბაქო ხდება მნიშვნელოვანი პარტნიორი ევროპისთვის. ჩვენი ქვეყნის კურსიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, რომ ვისწრაფვით საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, აქტიურდება ახალი ხაზი, ბაქო-თბილისი-ბრიუსელის სახით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის წინ, ევროსაბჭოს პრეზიდენტი, შარლ მიშელი იმყოფებოდა ცენტრალურ აზიაში – ასტანაში გაიმართა ევროკავშირი-ცენტრალური აზიის სამიტი, მანამდე იყო რუსეთი-ცენტრალური აზიის სამიტი, ჩინეთი-ცენტრალური აზიის სამიტი, ამერიკა-ცენტრალური აზიის სამიტი... აქ საუბარია ცენტრალური აზიის ანუ ხუთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით, ენერგომატარებლების მხრივ. ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ აზერბაიჯანის ენერგორესურსები იგულისხმება, არამედ – აზიის და რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გაივლის აზერბაიჯანი-საქართველოს ტერიტორიებს. ეს ძალიან მსხვილი ენერგოპროექტებია, რასაც გარკვეული რისკებიც ახლავს, რადგან რუსეთის ინტერესებში არ შედის. თუმცა, ერთად დგომით, როგორც აზერბაიჯანთან და სომხეთთან, ასევე, ევროკავშირთან და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან – აშშ-თან ერთად, საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები ახალ ეტაპზე გადადის, რაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას კიდევ უფრო გაზრდის, როგორც რეგიონში, ასევე, ჩვენი პარტნიორებშიც.**

**ხაზი უნდა გავუსვათ ერთ დეტალსაც – ბევრს საუბრობენ ჩრდილოეთ სამხრეთის დერეფანზე და სომხეთის გავლით ამ დერეფნის გახსნაზე, ამიტომ როცა სამშვიდობო შეთანხმებაზე საუბრობს ალიევი, რა თქმა უნდა, გულისხმობს ჩრდილო-სამხრეთის დერეფანს. როდესაც ამ ჭრილში აცხადებს, რომ აზერბაიჯანის მთელი ენერგორესურსები აუცილებლად გაივლის საქართველოზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი. ამ პროცესის გაგრძელება იყო პრემიერის ვიზიტი უნგრეთში და უნგრეთის პრემიერ-მინისტრის სურვილი, რომ მთელი ეს ენერგორესურსები, აზერბაიჯანმა საქართველოს გავლით მიაწოდოს უნგრეთს, რაც პრემიერ-მინისტრის დიპლომატიური აქტივობების ლოგიკური ჯაჭვი გახლავთ“.**

ილჰამ ალიევის თბილისში სტუმრობის ლოგიკური გაგრძელება იყო ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი უნგრეთში, სადაც მის კოლეგას, ვიქტორ ორბანს შეხვდა. საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ორ ქვეყანას შორის არსებული მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობა იყო ის ძირითადი საკითხები, რომლებიც საქართველოსა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრებმა – ირაკლი ღარიბაშვილმა და ვიქტორ ორბანმა ჯერ პირისპირ, შემდეგ – გაფართოებულ ფორმატში განიხილეს. საუბარი შეეხო ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს.

რაც მთავარია, ვიქტორ ორბანმა აშკარად უსაყვედურა ევროკავშირს, რადგან უკრაინისა და მოლდოვასგან განსხვავებით, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი არ მიანიჭა:

**„კიდევ ერთი საკითხი, რომელიც განვიხილეთ, ეხება ევროკავშირის მიმართ საქართველოს სულისკვეთებას და მისი წევრობის სურვილს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ძალიან ცუდი გადაწყვეტილება იქნა მიღებული ბრიუსელში. ეს გადაწყვეტილება, ვიტყოდი, რომ დისკრიმინაციული იყო, როდესაც კანდიდატის სტატუსი მიენიჭა მოლდოვასა და უკრაინას და არა საქართველოს. ეს ვერ იქნება გამართლებული ვერც მორალურად. ეს არის საზიანო გადაწყვეტილება. ჩვენი სტუმარი და მისი ქვეყანა იმსახურებს კანდიდატის სტატუსს იმიტომ, რომ ძალიან ბევრს მუშაობს, ბოლო წლებია. ეს გადაწყვეტილება საქართველოს მიმართ უპატივცემულობა იყო, ქართველი ერის, სახელმწიფოს მიმართ. რას გავაკეთებთ? – ჩვენ გავაგრძელებთ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ, რომ რაც შეიძლება მალე მიიღოს მან კანდიდატის სტატუსი, ევროკავშირში გაწევრიანდეს და ამას მოვახერხებთ ექსპერტული დახმარებით“,** – განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

მეტიც, უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა პირდაპირ დაასახელა ენერგომარშრუტი, რომლითაც სურს, რომ აზერბაიჯანული გაზი მიიღოს. ორბანი ამბობს, რომ აზერბაიჯანული გაზის უნგრეთში ექსპორტი, საქართველოსა და რუმინეთის გავლით უნდა განხორციელდეს. რაც შეეხება ორბანის მკაცრ ტონს, ამირან სალუქვაძის შეფასებით, უნგრეთის პრემიერი ხისტი და პირდაპირი საუბრით გამოირჩევა:

**„რა თქმა უნდა, ორბანსა და ევროკავშირს შორის დაძაბული ურთიერთობებია, მაგრამ უნგრეთი ევროკავშირისა და ნატო-ს წევრი ქვეყანაა, ამიტომ მსგავსი მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. ერთია, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ უსამართლობაზე, როდესაც სტატუსის მიღმა დაგვტოვეს. წლების განმავლობაში, ასოცირებული ტრიოს ლიდერი ვიყავით, გასაგებია, რაც მოხდა: ომია უკრაინაში, მოლდოვაც წინასაომარ მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ჩვენც სამი ომი გადავიტანეთ, ზოგი – დიდი, ზოგი – პატარა, თუმცა საკმაოდ დამანგრეველი საქართველოსთვის, რასაც მოჰყვა ჩვენი ორი რეგიონის ოკუპაცია. როდესაც ითვალისწინებენ ამ გარემოებებს უკრაინისა და მოლდოვასთვის, აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ საქართველოსთვის, რადგან თავადვე აღიარებენ, თუნდაც 2008 წელს რომ ყოფილიყო სათანადო რეაგირება აგრესიის აღსაკვეთად, დღეს სხვა რეალობა გვექნებოდა. ვიქტორ ორბანის მხარდაჭერა და სიმართლის გახმოვანება მაღალი ტრიბუნიდან, ძალიან მნიშვნელოვანია. რაც მთავარია, ჩვენს მიერ გატარებული რეფორმებით, სხვადასხვა საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველო შესაბამისობაშია ევროკავშირთან“.**

უნგრეთის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებულ საემიროებში გაემგზავრა. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის მეთაურმა ორმხრივი, მაღალი დონის შეხვედრები გამართა. მხარეები მზად არიან, არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს. აღინიშნა, რომ საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარების მიზნით, მოლაპარაკებები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, საქართველოში კი, არაბული ინვესტიციით არაერთი პროექტია დაფინანსებული და მისასალმებელია, რომ მათი რიცხვი მზარდია. ამირან სალუქვაძის შეფასებით, ღარიბაშვილის აბუ-დაბიში ვიზიტი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო:

**„აბუ-დაბიში ეკონომიკური ფორუმი ჩატარდა და ქართული დელეგაცია, ერთი მხრივ, ამ ფორუმში მონაწილეობდა, ხოლო მეორე მხრივ – ორმხრივი ურთიერთობები განამტკიცა მდიდარ სახელმწიფოსთან. ინვესტიციების მოზიდვის გარდა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები ენერგორესურსებით მდიდარი ქვეყანაა. ხაზგასმით ვამბობ, ეს არ იქნება ბოლო ვიზიტი, გაგრძელდება აქტივობა. მისასალმებელია, როგორც აქტიური სამეზობლო პოლიტიკა კავკასიაში, ასევე – ახლო აღმოსავლეთში. რა თქმა უნდა, ჩენი სტრატეგიული კურსი უცვლელია – ევროატლანტიკური ინტეგრაცია, მაგრამ მეზობელ რეგიონებთანაც აქტიური პოლიტიკა უნდა გვქონდეს და ვფიქრობ, გაგრძელდება პრემიერის ვიზიტები მომავალშიც. ჩვენ ვხედავთ გფონივრულ და მიზანმიმართულ საგარეო აქტივობებს და მშვიდობის შენარჩუნებით, ამ პოლიტიკის შედეგებსაც მალე დავინახავთ. გარკვეულწილად, უკვე ვხედავთ – მეორე წელია, ორნიშნა ეკონომიკური ზრდაა, „საქსტატის“ მონაცემებით, ინფლაციის შემცირება იწყება და ეს ხალხმა უნდა იგრძნოს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში ხალხმა ისე უნდა დაიწყოს ცხოვრება, რომ ქვეყნიდან გასული ქართველებიც კი უკან დაბრუნდნენ, აქ უნდა შევუქმნათ ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრების უკეთესი პირობები, რასაც ქვეყნის შიგნით ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრება სჭირდება“.**

თათია გოჩაძე
598-43-50-34

# ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიცია აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში“

## 2023 წლამდე გადავადებული ევროპული პერსპექტივა და 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების პერიპეტიები

**2022 წლის 17 ივნისს, ევროკომისია გამოვიდა რეკომენდაციით, უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მინიჭებოდათ, საქართველოსთვის კი – მხოლოდ ევროპული პერსპექტივა. ევროპულმა საბჭომ განაცხადა, რომ საქართველოს მას შემდეგ მიენიჭება კანდიდატის სტატუსი, რაც ევროკომისიის განსაზღვრულ 12-პუნქტიან გეგმას შეასრულებს. ევროკომისიამ 12 პრიორიტეტის შესრულების ვადა, თავდაპირველად, 2022 წლის დეკემბერამდე განსაზღვრაა, თუმცა შემდეგ, ამ ვადამ 2023-ის ბოლომდე გადაიწია ანუ საქართველოს კანდიდატის სტატუსის საკითხი მომავალი წლის დასასრულს გადაწყდება. პარლამენტში მმართველმა ჯგუფმა შექმნა სხვადასხვა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად მუშაობს. ამ პროცესში ოპოზიციის ნაწილი მონაწილეობს, რაც შეეხება საპარლამენტო ოპოზიციის მეორე ნაწილს – აღნიშნულ საქმიანობაში არ ერთვება და აცხადებს, რომ მმართველი ძალის ზემოხსენებულ გეგმაზე მუშაობა ფორმალობაა და ხელისუფლება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად ეფექტიან გეგმას ვერ წარადგენს... „ვერსია“ ანალიტიკოს ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:**

– 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად ვადა 2023 წლის ბოლომდე გვაქვს. „ქართული ოცნება“ რასაც ამბობს, იმას ნამდვილად გააკეთებს ანუ 12– პუნქტიან გეგმას იმ სათაურებით, რაც ევროპამ გადმოგვცა, დარწმუნებული ვარ, წარადგენს, ოღონდ შინაარსობრივად როგორი იქნება, ეს ცალკე თემაა. ვნახეთ ოლიგარქიზაციის შესახებ კანონი... შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სახელი და გვარი უნდა იყოს მითითებული, მაგრამ რა განცხადებებსაც მმართველ ძალაში აკეთებენ, რომ, თურმე, ეს ყველას ეხება, გარდა ივანიშვილისა, მიანიშნებს იმაზე, თუ რა ტიპის იქნება ეს კანონი. ამიტომ, მოლოდინი, რომ „ქართულ ოცნებას“ ისევე ესმის ეს თემები, როგორც ჩვენ და ევროპას, ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ სხვა პოლიტიკურ თამაშს თამაშობს მმართველი პარტია – ის ამ პუნქტებს შეასრულებს, წავა დასავლეთში და შემდეგ დაიწყება ვენეციის კომისიასთან მუშაობის პროცესი და ასე შენდეგ, რაც გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. ესაა „ქართული ოცნების“ მიზანი, რომ მომავალი წლის დეკემბრამდე გაწელოს დრო და არა – პუნქტები შეასრულოს ისე, როგორც საჭიროა.

ამასთან, „ქართული ოცნების“ პროპაგანდა იქნება, რომ 12 პუნქტი შესრულდა. ამიტომ, როცა ოპოზიცია ამბობს, რომ ამას დაიწუნებენ და ამისგან რაღაც პროცესის შექმნას ცდილობს, მისთვის ეს წამგებიანია, რადგან პროცესს ოპოზიცია კი არა, მმართველი პარტია შექმნის და ოპოზიცია კიდევ ერთხელ აღმოჩნდება თამაშგარე მდგომარეობაში.

**– რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, რომ არ დარჩეს თამაშგარე მდგომარეობაში? ისე, ვაშაძე-ხოშტარია-ჯაფარიძის გაერთიანებას არც ენმ უერთდება და არც სხვა პარტიები..**

– ეს საკმაოდ გაუგებარი გაერთიანებაა, როცა მათ ვუსმენ, ვერ ვიგებ, გაერთიანება რა შუაშია. თუ ყველაფერი ცალ-ცალკე უნდა აკეთონ, თურმე, ერთიან სიებსა და ბლოკზე ლაპარაკი არაა, მაშინ რატომ არის ეს გაერთიანება? ვუსმენდი და ვერ გავარკვიე, რა შინაარსს დებენ ამ გაერთიანებაში.

**– ევროკავშირში გაწევრიანებისა და 12-პუნქტიანი გეგმის სწორად შესრულების გარშემო გაერთიანდნენ, თავად ასე ხსნიან, ბატონო ვახტანგ...**

– გაერთიანება ნიშნავს რაღაც ფორმას და ეს ფორმა რა არის, სამწუხაროდ, ჩემთვის გაუგებარია. როცა ამ გაერთიანების შესახებ გაჟღერდა, მოჰყვა პოლიტიკური განცხადებები, ამან ცოტა გამოაცოცხლა პოლიტიკური პროცესი, ოღონდ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბოლომდე გაცნობიერებული არავის არაფერი აქვს. უბრალოდ, ისროლეს რაღაც ლოზუნგი და ახლა იწყებენ შინაარსის ძებნას.

ნაციონალური მოძრაობისთვის გაერთიანება რომ მიუღებელია, სრულიად გასაგებია. ენმ-ს ჰყავს თავის ამომრჩეველი, არის მეორე პარტია ქვეყანაში და პირველი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა, წვრილ პარტიებთან გაერთიანება მას არაფერს მოუტანს.

როცა ლაპარაკია სამოქმედო გეგმაზე, გაერთიანება მესმის ასე – წვრილმა პარტიებმა უნდა მოძებნონ ერთმანეთთან სალაპარაკო ენა, ოღონდ, მხოლოდ ასეთი მექანიკური შეერთება საკმარისი არაა, ამას გარკვეული პროცესი უნდა მოჰყვეს.

არ არის სწორი მოსაზრება, რომ დიდი გაერთიანება მოუგებს „ქართულ ოცნებას“, ელექტორატის მიხედვით უნდა შეაფასო რეალობა. თუ ასეთ ელემენტარულ რეალობას ვერ აანალიზებს ოპოზიცია, მაშინ როგორ უნდა დავიჯერო, რომ ამ ურთულესი მდგომარეობიდან გამოიყვანს ქვეყანას?! არჩევნებით, გამოკითხვებით ცალსახად ჩანს, რომ ელექტორატი სამ კატეგორიად იყოფა: „ქართული ოცნების“ მომხრეები, ნაციონალური მოძრაობის მომხრეები და მესამე კატეგორია, რომელსაც არც ერთი მოსწონს და არც – მეორე. თუ ეს იციან, ხომ უნდა შეარჩიონ სამიზნე ჯგუფი, რომელიც სწორედ ისაა, რომ ეს მესამე კატეგორია მიიმხრონ?

**– მოკლედ, მიიჩნევთ, რომ ამ სამი პარტიის გაერთიანება მესამე პოლიტიკურ ძალას ვერ შექმნის?**

– რა თქმა უნდა, ვერ შექმნის. ლაპარაკი გაერთიანება-გამსხვილებაზე სწორია, მაგრამ არა ერთიან, დიდ, რაღაც კონგლომერატის შექმნაზე. პარტიებში უნდა გაჩნდეს ისეთი დაჯგუფებები, რომელთაც პრობლემა არ ექნებათ 5%-იანი ბარიერის დაძლევისა. ეს არის ძალიან კონკრეტული ამოცანა, ამისთვის აუცილებელია, წვრილი პარტიების გამსხვილება, მაგრამ არა – მექანიკურად. ეს საკმარისი არ იქნება, მაგრამ პირველი გადადგმული ნაბიჯი იქნება, რის შემდეგაც, უნდა აუხსნან საზოგადოებას, თუ რას სთავაზობენ და რატომ იქნება უკეთესი, თუ ისინი მოვლენ ხელისუფლებაში.

**– როცა ოპოზიციის სამოქმედო გეგმაზეა საუბარი, საინტერესოა, რამდენად იმუშავებს პროტესტი – ქუჩის აქციები, საპარლამენტო ბოიკოტი და ასე შემდეგ, რათა ზეწოლა მოახდინონ ხელისუფლებაზე, რომ 12– პუნქტიანი გეგმა შესრულდეს არა ფორმალურად, არამედ, შინაარსობრივად და ეფექტიანად?**

– როცა ოპოზიცია მმართველ ძალას ადანაშაულებს, რომ არ ითვალისწინებს ევროპელი პარტნიორების აზრს, ჩნდება კითხვა – თავად ოპოზიცია ითვალისწინებს?

**– რას გულისხმობთ?**

– მუდმივად იყო მოწოდებები, ჩაერთეთ ამ გეგმის შემუშავების პროცესშიო, ოპოზიცია კი ამტკიცებდა, რომ ცალკე პროცესი ჰქონდა. საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარეობს ამ პუნქტებზე მუშაობა და კანონპროექტების მიღება, სად არის აქ ოპოზიცია, მონაწილეობს რამეში?

**– შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის ნაწილი მონაწილეობს...**

– პროცესი უნდა შექმნან – ამას ვგულისხმობ. ორი კაცი კი ამ პროცესს ვერ შექმნის. გვინახავს პარლამენტის სხდომები, როცა ოპოზიცია იყო ძალიან აქტიური, დღეს კი ოპოზიცია თითქოს არის პარლამენტში და არც არის...

**– ბატონო ვახტანგ, ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხზე, რუსთაველზე, ხალხის უპრეცედენტო რაოდენობა გამოვიდა. თუ ეს ხალხი 2023 წლის ბოლოს დაინახავს, რომ მმართველმა ძალამ ვერ შეასრულა სათანადოდ 12-პუნქტიანი გეგმა, ეს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტად იმოქმედებს?**

– არა, ეს თემა ვერანაირად გახდება გადამწყვეტი, თუ ოპოზიცია დარჩება იმ მდგომარეობაში, როგორშიც დღესაა. ხელისუფლება მოსახლეობის 2/3-ს არ მოსწონს და მეტი რა უნდა ოპოზიციას? კიდევ რისი მოლოდინი უნდა ჰქონდეს? ხელისუფლება საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს ძალაუფლების შესანარჩუნებლად და თუ ოპოზიცია იმ ვითარებაში დარჩება, როგორშიც დღესაა, ხელისუფლებას რატომ გაუჭირდება არჩევნების მოგება, წარმოდგენა არ მაქვს. ამიტომ, ოპოზიცია კარგად უნდა მოემზადოს.

უამრავი ხალხი რომ გამოვიდა ევროპული ორიენტაციის მხარდასაჭერად, იქ მხოლოდ ოპოზიცია ხომ არ იყო? ხელისუფლების მხარდამჭერებიც იყვნენ, ესეც გასათვალისწინებელია. პროცესს თუ ვერ შექმნის ოპოზიცია, მისთვის იქნება ძალიან ცუდი. ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი უნდა მოიძებნოს.

პრობლემა ისაა, რომ უარყოფითი მუხტი გროვდება მოსახლეობაში და თუ არ მოიძებნა წარმმართველი ძალა, რომელიც ამ მუხტს მიმართულებას მისცემს, შეიძლება, გადაიზარდოს ქუჩის ქაოსურ პროტესტში, რაც დამანგრეველი იქნება ქვეყნისთვის. თავის დროზე, ივანიშვილის დამსახურება სწორედ ეს იყო, მან უარყოფით მუხტს მისცა მიმართულება, თორემ 2012-ში ისე რომ მოვსულიყავით, როგორც მაშინ ოპოზიცია იყო, ეს იქნებოდა ძალიან მძიმე ქვეყნისთვის. წესით, ყველაფერ ამაზე ოპოზიცია უნდა ფიქრობდეს.

# სისხლიანი 7 ნოემბერი ანუ წარსული, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ

## გამოიყენეს თუ არა ნაციონალებმა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ფსიქოტრონული იარაღი

ნინო დოლიძე

ეს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სირცხვილია. დიახ, იმ დღეს ღმერთი მთელ პოლიტიკურ ინსტებლიშმენტს გაუწყრა ანუ უფრო ნათლად და გასაგებად რომ ვთქვათ, სამთავრობო და ანტისამთავრობო ძალების დაპირისპირებას უდანაშაულო ადამიანები შეეწირნენ, თუმცა ამის თქმა დღეს შეიძლება, როცა ვნებები ჩამცხრალია, თორემ მაშინ, როცა თბილისის მთავარ გამზირზე სისხლმოწყურებული „რობოკოპები“ დათარეშობდნენ, ანალიზისთვის არავის ეცალა.

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ვინმეს მოეწონება თუ არა, ეჭვგარეშეა, რომ იმით, რაც 15 წლის წინ, ესე იგი, 2007 წლის 7 ნოემბერს მოხდა, მაშინდელმა ოპოზიციამ წყალი – არც მეტი, არც ნაკლები – ნაციონალური მოძრაობის და, შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის წისქვილზე დაასხა.

**როგორ?**

**როგორ და, 7 ნოემბრის მოვლენები იმის საბაბი გახდა, რომ ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნულიყო. მეტიც, სააკაშვილმა ქვეყნის პასუხისმგებლიანი მმართველის მანტია მოირგო, გადადგა და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებიც დანიშნა. ჰოდა, იმის ნაცვლად, რომ 7 ნოემბრის მოვლენების ობიექტური გამოძიება და დამნაშავის მთელი სიმკაცრით დასჯა მოეთხოვა, ოპოზიცია და, საერთოდ, ანტინაციონალურად განწყობილი მოსახლეობა საარჩევნო კამპანიის მორევმა შთათნთქა. დიახ, ამ ნაბიჯით (გადადგომა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა) სააკაშვილმა საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახა, რომ მას, როგორც პოლიტიკოსს, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის განუხტვა ხელეწიფებოდა.**

**ისე, თუკი შეთქმულების თეორიის ლოგიკას გავყვებით, შესაძლოა, ისიც ვივარაუდოთ, რომ 7 ნოემბერი მაშინდელი მმართველი გუნდისა და ოპოზიციის გარკვეული ფრთის ერთგვარი გარიგების შედეგი იყო (!). ყოველ შემთხვევაში, მომხდარიდან ათი წლის შემდეგაც არ არსებობს დასაბუთებული პასუხი, 2007 წლის 7 ნოემბრის დილას, როცა პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე სულ რამდენიმე ათეული ადამიანი იმყოფებოდა, ანტინაციონალური ფრონტის ლიდერებმა რუსთაველის გამზირის გადაკეტვის გადაწყვეტილება რატომ მიიღეს? რომ არა ეს გადაწყვეტილება, არავინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა ანუ რამდენიმე მომიტინგის მიერ, პარლამენტის წინ, საავტომობილო გზის გადაკეტვა ფართომასშტაბიანი დარბევის საბაბი გახდა.**

**საერთოდ, ნაციონალური ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილების პირველი ნიშნები „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, კერძოდ, 2004 წლის 23 ნოემბერს გაჩნდა – ამ დღეს პატრულმა ბუტა რობაქიძე მოკლა. აღსანიშნავია, რომ იმხანად, შსს-ს ვანო მერაბიშვილი კი არა, ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა. მაშასადამე, ახალგაზრდის სიკვდილზე პასუხისმგებლობა სწორედ ოქრუაშვილს უნდა აეღო, მაგრამ 2007 წლის შემოდგომაზე, მასობრივი საპროტესტო აქციები „ოქროს“ დაჭერის გამო დაიწყო. მეტიც, სუბიექტი, რომელმაც „ვარდების საქართველოში“ ადამიანების „ტრუსიკ-მაიკით“ დაკავების პრაქტიკა დანერგა, ლამის, ეროვნულ გმირად შერაცხეს, თუმცა ოქრუაშვილის გმირობის მითი საპნის ბუშტივით გასკდა – რამდენიმედღიანი პატიმრობის შემდეგ, საგამოძიებო უწყებებმა „ოქროს“ თვითაღიარების ვიდეოკადრები გაავრცელეს. ითქვა, სააკაშვილის მეგობარყოფილმა წამებას ვერ გაუძლო და აღიარებაზეც ამიტომ წავიდაო. შესაძლოა, არც უამისობა იყო, მაგრამ ამის შემდეგ მოვლენები კიდევ უფრო უცნაურად განვითარდა – პატიმრობიდან გათავისუფლებული, „სამართლიანობისთვის მებრძოლი რაინდი“ საქართველოს ტოვებს და გეზს პარიზისკენ იღებს. მოგეხსენებათ, იმ ყბადაღებული 9-წლიანი რეჟიმის დროს, ნაციონალების ნებართვის გარეშე, ცაში ჩიტი ვერ გაიჭაჭანებდა, მიწაზე კი – ჭიანჭველა. ჰოდა, საინტერესოა, „ოქრომ“ საქართველოს სამანები როგორ გადალახა? ისე, მათ, რომლებსაც კარგი მეხსიერება აქვთ, იმხანად, კულუარებში მოარული ხმაც ემახსოვრებათ, ოქრუაშვილი აეროპორტამდე თავად ნაცებმა მიაცილესო. მოგვიანებით, იმასაც იტყვიან, რომ სააკაშვილმა საფრანგეთს გაქცეულ ოქრუაშვილს თითქოს დიდძალი თანხა გაატანა, თუმცა ყველაფერი ეს პოლიტიკური მითოსია. ფაქტი კი ისაა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერი, საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის საკრალური აღმოჩნდა და, საბოლოო ჯამში, ქვეყანამ წააგო – მინიმუმ, მაპ-ი ვერ მიიღო, თორემ პოლიტიკურმა ელიტამ აშკარად იხეირა: ნაცებმა ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივეს, ოპოზიციის ნაწილმა კი, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, სერიოზული „მაყუთი“ იშოვა და ახალი პოლიტიკური ლიდერიც იშვა – „გრეჩიხა-უმცროსი“. მართალია, ზოგს დღესაც სჯერა, რომ 2008 წლის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში რეალურ წარმატებას სააკაშვილმა კი არა, არამედ, ლევან გაჩეჩილაძემ მიაღწია, მაგრამ აქვე, ისიც უნდა გავიხსენოთ, რაც მოგვიანებით გახდა ცნობილი, კერძოდ, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თანამეცხედრე ბადრი ბიწაძემ, ლევან გაჩეჩილაძე სააკაშვილისგან ფულის აღებაში ამხილა.**

**სიტყვამ მოიტანა და, 2007 წლის 7 ნოემბერს, ნინო ბურჯანაძე ქვეყნის მეორე პირი იყო. მას შემდეგ, რაც ნაციონალებს გაემიჯნა, ქალბატონი პოლიტიკოსი ერთთავად ირწმუნება, რომ „ვარდოსანთა“ ელიტის გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა არ შეეძლო, მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ“:**

**რუსთაველზე მოწყობილი სასაკლაოდან ორი-სამი დღის შემდეგ, ნინო ბურჯანაძემ, როგორც საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა, პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან 7 ნოემბრის მოვლენები გაამართლა და ერთგვარი სიამაყით განაცხადა, სახელმწიფო შედგაო. ჩვენში დარჩეს და, ამ დროს გიგა ბოკერიას უკვე ნათქვამი ჰქონდა, 7 ნოემბერს ძალას გადავამეტეთო.**

**ერთი სიტყვით, 10 წლის წინანდელი მოვლენების მოკლე ანალიზი ასეთია, თუმცა თუნდაც იმიტომ, რომ ისტორიას მასალები შემოვუნახოთ, „ვერსია“ მხოლოდ 2007 წლის 7 ნოემბრის სურათის აღდგენას კი არ შეეცდება, არამედ, იმ მოვლენებსაც ქრონოლოგიურად გაიხსენებს, რამაც პოლიტიკურ კრიზისამდე მიგვიყვანა.**

**მაშ, ასე, წინ, წარსულისკენ!**

### როგორ მზადდებოდა 7 ნოემბერი

**2007 წლის 12 სექტემბერი** – შიდა ქართლის რეგიონის გუბერნატორი მიხეილ ქარელი, რომელიც თავდაცვის ყოფილ მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირია, თანამდებობას ტოვებს. ქარელმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ცნობილი გახდა, რომ გორის გამგეობის რამდენიმე მაღალჩინოსანი კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს.

**14 სექტემბერი** – ოქრუაშვილთან დაახლოებული ორი დეპუტატი – თეო ტლაშაძე და ქეთევან მახარაშვილი მმართველ პარტიას, ესე იგი, ნაცმოძრაობას ტოვებენ.

**25 სექტემბერი** – პრეზიდენტის საპარლამენტო მდივან დიმიტრი ქიტოშვილს, რომელიც, ასევე, ოქრუაშვილის გარემოცვის წევრია, გამოძალვის ბრალდებით აპატიმრებენ. იმავე დღეს, შემოსავლების სამსახური ოქრუაშვილის მეგობრის, ქიბარ ხალვაშის ბიზნესსაქმიანობის შესწავლას იწყებს.

**25 სექტემბერსვე**, ოქრუაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკურ პარტიას აფუძნებს, რომელსაც „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ არქმევს. პარალელურად, თავდაცვის ექსმინისტრი, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში, სააკაშვილის კარზე ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად ითვლება, პრეზიდენტს ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯების გადადგმასა და ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის დაკვეთაში ადანაშაულებს.

**სიმბოლური დამთხვევა** – 27 სექტემბერს, ესე იგი, სოხუმის დაცემის დღეს, ქვეყნის თავდაცვის ყოფილ მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს ფულის გამოძალვის, გათეთრების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით აპატიმრებენ.

**28 სექტემბერი** – პარლამენტის წინ, ოქრუაშვილის გათავისუფლების, ვადამდელი არჩევნებისა და საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმების მოთხოვნით, ათასობით ადამიანი იკრიბება.

**29 სექტემბერი** – პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ექსმეგობარ ოქრუაშვილზე პირველ კომენტარს აკეთებს და ამბობს, რასაც ოქრუაშვილი მაბრალებს, სიცრუეაო..

**8 ოქტომბერი** – ოქრუაშვილი სააკაშვილის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებს უარყოფს და აცხადებს, მინდოდა, ამ ბრალდებებით, მე და ბადრი პატარკაციშვილს პოლიტიკური დივიდენდები მიგვეღოო.

ამასთან, ოქრუაშვილი ფულის გამოძალვასა და სამსახურებრივ გულგრილობასაც აღიარებს. რამდენიმე დღეში, თავდაცვის ექსმინისტრი 10-მილიონიან გირაოს იხდის და საპატიმროს ტოვებს. ისე, საინტერესოა, სახელმწიფო მოხელეს ამდენი ფული საიდან ჰქონდა?!

**10 ოქტომბერი** – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი მმართველი პარტიისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში ღიად ერთვება და აცხადებს, ქვეყანაში არსებულმა რთულმა სიტუაციამ, შესაძლოა, მაიძულოს, პოლიტიკაში მოვიდეო.

**11 ოქტომბერი** – ოქრუაშვილის მხარდამჭერები საზოგადოებას თავდაცვის ყოფილი მინისტრის პოლიტიკიდან წასვლის შესახებ ამცნობენ.

**17 ოქტომბერი** – ათი ოპოზიციური პარტია, რომელიც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით ერთობლივ კამპანიას აწარმოებს, 12-პუნქტიან მანიფესტს აქვეყნებს.

**19 ოქტომბერი** – ქუთაისში, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათასობით ადამიანი იკრიბება. ქუთაისის მიტინგი 2 ნოემბერს, თბილისში დაგეგმილი მასობრივი საპროტესტო აქციის ერთგვარი რეპეტიციაა.

*დასასრული მე-6 გვერდზე*

# სისხლიანი 7 ნოემბერი ანუ წარსული, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ

*მე-5 გვერდიდან*

**22 ოქტომბერი** – ათი პარტიისგან შემდგარი კოალიცია პერმანენტულ აქციებზე საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

**23 ოქტომბერი** – ბათუმში, ოპოზიის ორგანიზებით, რამდენიმეათასიანი აქცია იმართება.

**25 ოქტომბერი** – საქართველოს გზის, თავისუფლებისა და რესპუბლიკელების ლიდერები – სალომე ზურაბიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და დავით უსუფაშვილი ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელს, ხავიერ სოლანას ხვდებიან.

**28 ოქტომბერი** – ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი აცხადებს, რომ ოპოზიციას დააფინანსებს, რათა აქციები „ცივილიზებული გზით“ გამართოს.

იმავე დღეს, ზუგდიდში, ოპოზიციის მიერ გამართული საპროტესტო აქციის შემდეგ, მმართველი პარტიის მხარდამჭერები ორ ოპოზიციონერ დეპუტატსა და ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტს სცემენ.

**30 ოქტომბერი** – დეპუტატი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ ხელისუფლება, არჩევნების დღესთან დაკავშირებით, კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.

**1 ნოემბერი** – რეგიონებიდან თბილისში, 2 ნოემბრისთვის დაანონსებულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად ათასობით ადამიანი ჩამოდის.

**2 ნოემბერი** – პარლამენტის წინ, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ აქციაზე ათიათასობით ადამიანი იკრიბება.

იმავე დღეს, ოპოზიციის ლიდერები პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს ხვდებიან. მოგვიანებით, ბურჯანაძე აცხადებს, რომ არჩევნების დღესთან დაკავშირებით, ხელისუფლება კომპრომისზე წასვლას არ აპირებს.

**3 ნოემბერი** – პარლამენტის წინ საპროტესტო აქცია განახლდა. ოპოზიცია ამბობს, რომ მისი მთავარი მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომაა.

**7 ნოემბერი** – დღის პირველ ნახევარში, პოლიცია პარლამენტის წინ მიმდინარე აქციას ცრემლსადენი აირით, ხელკეტებით, რეზინის ტყვიებით, აკუსტიკური თოფებითა და წყლის ჭავლით შლის.

დაბინდებისთანავე, ნიღბიანი სპეცრაზმელები ტელეკომპანიების – „იმედი“ და „კავკასია“ სტუდიებს არბევენ, რის გამოც, ორივე ტელევიზია მაუწყებლობას წყვეტს.

გვიან ღამით, პრეზიდენტი სააკაშვილი თბილისში საგანგებო ვითარებას აცხადებს.

**8 ნოემბერი** – დილის 11.00 საათზე, ბათუმის უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცრაზმი სტუდენტურ აქციას არბევს.

ამასთან, ოფიციალური თბილისი საქართველოდან სამ რუს დიპლომატს აძევებს. ოფიციალური კრემლი საპასუხო ნაბიჯს დგამს და რუსეთიდან სამ ქართველ დიპლომატს აძევებს.

პრეზიდენტი სააკაშვილი ვადამდელ საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნებსა და, ასევე, რეფერენდუმს ნიშნავს.

**16 ნოემბერი** – საქართველოს მასშტაბით, 7 ნოემბერს დაწესებული საგანგებო მდგომარეობა უქმდება.

**სხვათა შორის, 2007 წლის აქციების ერთ-ერთი მთავარი ნარატივი სახელმწიფო** დაწესებულებებთან „სირცხვილის კორიდორების“ მოწყობა იყო, თუმცა ოპოზიციამ ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანა.

**„ხალხი დაიღალა გაუთავებელი ექსპერიმენტებით – ოქრუაშვილი-პატარკაციშვილი. ერთი, არქიფო სეთურივით, ლონდონიდან გვიგზავნის ეპისტოლეებს და გვმოძღვრავს, მეორე კი აქციის დაშლა-არდაშლაზე გველაპარაკება“,** – ამბობს საგანგებო ბრიფინგზე თბილისის მერი, გიგი უგულავა.

## სისხლიანი 7 ნოემბრის ქრონიკა

2007 წლის 7 ნოემბრის ალიონს თბილისი წვიმით შეეგება – თითქოს, დედაბუნებას ავი წინათგრძნობა ჰქონდა და იმას გლოვობდა, რაც რამდენიმე საათში უნდა მომხდარიყო.

10.00 საათზე, პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქცია ოფიციალურად განახლდება. დაახლოებით, ერთ საათში, დემონსტრანტები გზის სავალ ნაწილზე გადასვლას დაიწყებენ, რასაც სამართალდამცველებთან დაპირისპირება და რამდენიმე პირის დაკავება მოჰყვება.

მედია ელბაქიძის დაღმართსა და „ვარდების მოედანზე“, სპეცდანიშნულების რაზმების მობილიზების შესახებ იუწყება. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთები მთაწმინდის პარკშიც განლაგდნენ. ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ პატარკაციშვილის კუთვნილი პარკი დალუქულია.

პარლამენტის წინ არსებული ვითარება კულმინაციას 12:30 საათზე აღწევს, რაც იმას ნიშნავს, რომ საპატრულო პოლიცია აქციის დაშლას ხელკეტებით იწყებს.

12:50 საათზე, რუსთაველის გამზირზე სპეცრაზმი გამოჩნდება, რომელიც აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს... მოწამვლის, ნევროლოგიური შოკისა და რესპირატორული გზების დამწვრობით, სამედიცინო დაწესებულებებს 250-მდე პაციენტი მიმართავს.

16:00 საათისთვის, საპროტესტო აქცია რიყეზე გადაინაცვლებს, სადაც ხალხს ოპოზიციის ლიდერები მიმართავენ. ამასობაში, აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი პარლამენტისკენ იძვრება.

რიყეზე სამხედრო ქვედანაყოფებია მობილიზებული.

პარალელურად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ოპოზიციის ლიდერთა სატელეფონო საუბრებსა და მათი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს ავრცელებს. ფარულ კადრებში შალვა ნათელაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები, ასევე, გოგა ხაინდრავა ფიგურირებენ.

შსს-ში აცხადებენ, რომ ოპოზიციის ლიდერები რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებთან კოორდინირებდნენ.

საქართველო რუსეთიდან ელჩს, ირაკლი ჩუბინიშვილს იწვევს. ამასთან, საგარეო უწყებაში რუს დიპლომატ ვიაჩესლავ კოვალენკოს იბარებენ.

17:40 საათზე, რიყეზე აქციის დარბევა იწყება. სპეცრაზმი კვლავ წყლის ჭავლსა და ცრემლსადენ გაზს იყენებს.

მოგვიანებით, ბადრი პატარკაციშვილი საგანგებო განცხადებას ავრცელებს და მომხდარს „ბოლშევიკური პუტჩს“ უწოდებს:

**„სიმბოლურია, რომ ზუსტად დღეს, 7 ნოემბერს, ბოლშევიკური პუტჩიდან 90 წლის თავზე, საქართველო ახალ ტრაგედიას განიცდის.**

**ნურავის შეეპარება ეჭვი, რომ მთელი ჩემი ძალ-ღონე, მთელი ჩემი ფინანსური რესურსი, უკანასკნელი თეთრის ჩათვლით, გამოყენებული იქნება საქართველოს ფაშისტური რეჟიმისაგან გასათავისუფლებლად. საქართველოს გაუმარჯოს!“**

მმართველი გუნდი პატარკაციშვილის ამ განცხადებას ხელისუფლების დამხობის პირდაპირ მოწოდებად აღიქვამს.

20:55 საათზე, სპეცდანიშნულების რაზმი ტელეკომპანია „იმედში“ შედის. ტელევიზიასთან მოქალაქეები იკრიბებიან. საპატრულო პოლიცია ხალხს ხელკეტებითა და წიხლებით უსწორდება. ამასთან, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტელეკომპანიის მიმდებარე ტერიტორიაზე ცრემლსადენი გაზი გაუშვეს... მოგვიანებით, „იმედის“ ჟურნალისტები იტყვიან, რომ სპეცრაზმის თანამშრომლები სასტიკად ექცეოდნენ – იატაკზე დააწვინეს და იარაღი დაადეს...

## აპრძალული იარაღი

საერთოდ, აქციების დაშლისას ხელკეტებისა თუ ცრემლსადენი გაზის გამოყენება ზედემოკრატიულ ქვეყნებშიც აპრობირებულია. პოლიციასა და სპეცრაზმს ძალის გადამეტებაში ბრალს განვითარებულ ქვეყნებშიც სდებენ, თუმცა იმის პრეცენდენტი, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ ხელისუფლებამ ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენოს, თითქმის, არ არსებობს. საქართველო კი ამ მხრივაც პიონერია. ყოველ შემთხვევაში, სამი წლის წინ, კერძოდ, 2014 წლის ოქტომბერში, რუსული მედია სკანდალურ ცნობას გაავრცელებს, რომლის თანახმადაც, 2007 წლის 7 ნოემბერს, ნაციონალებმა მომიტინგეებს „ტვინზე სასიკვდილო დარტყმა“ მიაყენეს ანუ აქციის დასაშლელად, თითქოს, ფსიქოტორნული იარაღი გამოიყენეს.

სტატიაში, რომელსაც ხელს ვინმე ალექსანდრ კლუგლოვი აწერდა, ნათქვამი იყო:

**„2007 წლის 7 ნოემბერს, თბილისში დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოყენებული „უცნაური აპარატურა“ სპეციალური აკუსტიკური იარაღი – Medium Range Acoustic Device იყო, რომელიც მაშინდელმა ხელისუფლებამ ამერიკელებისგან მიიღო. მანამდე, აღნიშნული იარაღი ამერიკელებმა ერაყელი ბოევიკების წინააღმდეგ გამოსცადეს, უფრო გვიან კი, რუსეთის ხელისუფლებამ – ჩეჩნეთში. ორივე შემთხვევაში, ამ ექსპერიმენტსა თუ გამიზნულად გამოყენებულ მეთოდს, საკმაოდ დიდი მსხვერპლი მოჰყვა“...**

რუსული მედიის მიერ გავრცელებული ზემოხსენებული ინფორმაცია, რასაკვირველია, ქართულმა გამოცემებმაც აიტაცეს. ერთ-ერთმა ქართულმა ინტერნეტპორტალმა კი ფსიქოტრონულ იარაღზე ერთგვარი ჟურნალისტური მოკვლევაც ჩაატარა, რომლის თანახმადაც, 7 ნოემბერს, მომიტინგეების წინააღმდეგ გამოყენებული იქნა სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გამოსცემს ინფრაბგერებს – 15-დან 20 კილოჰერცამდე და ე.წ. ჩუმი ტალღების სახით ხვდება ადამიანის ორგანიზმში ისე, რომ მათ სმენითი ორგანო ვერ აღიქვამს...

დანამდვილებით იმის თქმა, რომ 2007 წლის 7 ნოებერს, ნაციონალებმა მშვიდობიანი მომიტიგეების წინააღმდეგ ფსიქოტრონული იარაღი გამოიყენეს, შეუძლებელია, თუმცა მაშინვე ყურადღება მიიქციეს ე.წ. რობოკოპის სამოსში გამოწყობილმა სპეცრაზმელებმა.

ამასთან, აქციის მონაწილეები მოგვიანებით გაიხსენებენ, რომ წყლის ჭავლისა თუ ცრემლსადენი გაზის პარალელურად, უცნაური ხმა ესმოდათ, რომელსაც ჯავშანმანქანა გამოსცემდა...

ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილისა და, საერთოდ, ნაცმოძრაობის დასამარება სწორედ 7 ნოემბრით დაიწყო. შესაძლოა, მართლაც ასეა, მაგრამ 7 ნოემბერმა სხვა სახის პოლიტმანკიერებანიც გამოავლინა, კერძოდ, ნათელი გახდა, რომ ოპოზიციას, განსაცდელის მიუხედავად, ერთ მუშტად შეკვრა არ შეუძლია ანუ 7 ნოემბრის შემდეგ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია კი შეიქმნა, მაგრამ როგორც იმხანად კულუარებში ამბობდნენ, ამ გაერთიანებაში შემავალ ყველა სუბიექტს კერძო ინტერესები ამოძრავებდა, რაც გამოჩნდა კიდეც: გაერთიანებულმა ოპოზიციამ იმდენი ვერ შეძლო, რომ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარი ბადრი პატარკაციშვილისთვის დაეჭირა. ამიტომ, ცხონებული ოლიგარქი, რომელიც, პრაქტიკულად, 2007 წლის ნოემბრის მოვლენების მოტორი იყო, ვადამდელ არჩევნებზე მარტოხელა მგლის ამპლუაში მოგვევლინა. გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელსაც, როგორც ამბობენ, გარკვეულ ფინანსურ დახმარებას სწორედ პატარაიშვილი უწევდა, ოლიგარქს კონკურენტად ლევან გაჩეჩილაძე „ჩაუსვა“. გაჩეჩილაძე კი, როგორც მოგვიანებით ბადრი ბიწაძემ განაცხადა, ფარულად, თურმე, სააკაშვილს ხვდებოდა.

ასე რომ, ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზებით, სურათი ასეთია: ქართულ პოლიტიკურ ელიტას ჭირიც ვერ აერთიანებს.

ისე, თუ კარგად დავაკვირდებით, დღევანდელი ოპოზიციაც ზუსტად ამ უკურნებელი სენითაა დავადებული, თუმცა ეს სხვა იქს-ფაილია, რომლის გახსნაც ნათელს, ალბათ, ბევრ რამეს მოჰფენს...

# რა მიზნით იქმნება ვაშაძე-ჯაფარიძე-ხოშტარიას „ტროიკა“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

## „ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ“ – ინტერვიუ პაატა მანჯგალაძესთან

**დროა, გირჩი – მეტი თავისუფლება და სტრატეგია აღმაშენებელი პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნიან და ერთობლივი განცხადებით, ევროკავშირის 12-პუნქტიან გეგმასთან დაკავშირებით, ხელისუფლებას საჯაროდ 31 კითხვით მიმართავენ. სტრატეგია აღმაშენებლის, გირჩი – მეტი თავისუფლებისა და დროას ლიდერები ამბობენ, რომ მიუხედავად კოლეგების კრიტიკისა, მზად არიან მხარეებთან მსჯელობისთვის, მათ შორის, ოპოზიციონერ კოლეგებთან, რომლებიც მათი გაერთიანების იდეას არ ემხრობიან. მმართველ გუნდში მიაჩნიათ, რომ მათი ოპონენტების პოლიტიკური მიზნები ეროვნული ინტერესების მატარებელი არაა. „ქართულ ოცნებაში“ ასევე, ამბობენ, რომ ჯაფარიძე-ვაშაძე-ხოშტარიას გაერთიანება სერიოზული არ არის. პარტია გირჩის წევრის, ვახტანგ მეგრელიშვილის განცხადებით კი, ზურაბ ჯაფარიძე, გიორგი ვაშაძე და ელენე ხოშტარია ძალიან უნიჭოები არიან... სტრატეგია აღმაშენებლის ლიდერს სტრატეგია საკუთარ გუნდშიც დაუწუნეს, გიორგი ვაშაძეს თეონა აქუბარდია გამოეყო. „ნაციონალებს“ კი ნონა მამულაშვილი დაემშვიდობა.**

**„ვაშაძე-ხოშტარია-ჯაფარიძის „ტროიკას“ ერთი მოტივი აქვს, ოპოზიციის გაერთიანება კი არა – იმ პოლიტიკოსების გაშავება და ჩაძირვა, რომლებიც კეზერაშვილის ფინანსური კონტროლის ქვეშ არ არიან“, – ასე გამოეხმაურა „ტაბულას“ რედაქტორი, თამარ ჩერგოლეიშვილი „გირჩი – მეტი თავისუფლების“ ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის ინიციატივას, პარტიების გაერთიანების შესახებ.**

**გაერთიანების შესახებ მეტის გასარკვევად, „ვერსია“ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთ ლიდერ პაატა მანჯგალაძეს ესაუბრა:**

– „სტრატეგია აღმაშენებლის“, „გირჩისა“ და „დროას“ ერთიან პლატფორმაში გაერთიანების არსი ის არის, რომ ქვეყანა გადასარჩენია და ასე გაგრძელება არ შეიძლება. ოღონდ, ეს არ არის პათეტიკა, დღეს არ არის საარჩევნო კამპანია, რომ სიასა და ბლოკზე ვისაუბროთ. ჩვენი დაკვირვებით, „ქართული ოცნება“ მიზანმიმართულად აკარგვინებს საქართველოს ევროპულ პერსპექტივას. მას არ უნდათ და აკრძალულიც აქვს, როგორც თავის დროზე, იანუკოვიჩსა და სომხეთს აუკრძალა რუსეთმა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ვფიქრობთ, ასეთი გარიგებაა „ქართულ ოცნებასა“ და რუსეთს შორის, რომ საქართველომ არ უნდა მიიღოს კანდიდატის სტატუსი და არ უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი, რადგან საქართველოს სახით, რუსეთი დაკარგავს გავლენას კავკასიაში.

ჩვენ ასეთ შეთქმულებას ვხედავთ და გამოვიდეთ, ვისაუბროთ იმაზე, რომ „სტრატეგია აღმაშენებლის“ 5 თუ 3% ხვალ უნდა გახდეს 10%, ესაა ჩვენი სტრატეგიული ამოცანა და ვლანძღოთ სხვა ყველა პარტია, ეს უსინდისობა იქნება ჩვენი მხრიდან, როცა ასეთი საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა. ალბათ, იცით ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ცნობილი ნათქვამი – „მხოლოდ უკანასკნელ მომენტში ვახერხებთ გაერთიანებას“... არ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა მივიდეს უკანასკნელ მომენტამდე და მერე დაფიქრდეს ყველა. ჩვენ მანამდე გვინდა მოქმედება, პოლიტიკოსობა იმას ნიშნავს, რომ საფრთხეების შესახებ მანამდე მიიღო ინფორმაცია და გაატარო კონკრეტული ღონისძიებები. სწორედ ამას ვცდილობთ, ესაა თავისუფალი პლატფორმა პროდასავლური ანუ ქართული ძალების. თუ დასავლეთი არის მტერი, მეგობარი რჩება რუსეთი, სხვა არჩევანი არ არსებობს – ან დასავლეთი/ევროპა, ან რუსეთი. სხვა პროქართული კურსი არ არსებობს, პროქართული კურსი არის პროევროპული კურსი და ეს დამტკიცებულია ჩვენი ისტორიით, ყველა ჩვენი ღირსეული წინაპარი ასე ხედავდა ამ საკითხს.

**– ბრიუსელში კონკრეტულად რა საკითხებზე გესაუბრნენ ჩვენი ევროპელი მოკავშირეები?**

– „ქართული ოცნების“ პროპაგანდაა, ოპოზიციის ლიდერები ჩადიან ევროპაში და საქართველოზე ცუდს საუბრობენო. პირიქით, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი სჭირდება და დემოკრატიულმა მექანიზმებმა უკეთესად რომ იმუშაოს, საქართველოს უნდა მიეცეს კანდიდატის სტატუსი, მაგრამ საქართველოზე მომუშავე ჯგუფში, ან ევროპარლამენტარებთან შეხვედრის დროს გავიგეთ, რომ ინფორმაცია აქვთ აბსოლუტურად ყველაფერზე. ჩვენ გვეკითხებოდნენ, ეს ანტიდასავლური, პრორუსული 9-კაციანი ჯგუფი რომ შექმნეს, რაში სჭირდებათო? თუ ევროპაში მოდიხართ, ეს რუსული ნარატივი რატომ ჟღერდება „ქართული ოცნების“ მხრიდანო? – ამაზე პასუხები კი ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს.

**– მმართველ პარტიაში გიპასუხებდნენ, რომ ეს ადამიანები „ქართულ ოცნებას“ გამოეყვნენ და ცალკე პოლიტიკური ძალა შექმნეს...**

– კი, მაგრამ უმრავლესობაში რჩებიან და რა გამოდის, რუსულ ჯგუფთან ერთად, „ქართულმა ოცნებამ“ კოალიცია გააკეთა? ჩვენთან, პროდასავლურ ძალებთან არ თანამშრომლობენ, უსამშობლოებს გვეძახიან, არადა, თავად არიან. ჩვენი მოსახლეობის 85% მომხრეა საქართველოს ევროპაში ინტეგრაციისა, „ქართული ოცნების“, დაახლოებით, 65% დღესაც ამ კურსს უჭერს მხარს და ამიტომ სჭირდება ორსახოვნება მმართველ ძალას, ღიად პრორუსულ კურსზე რომ გადავიდეს, ხელისუფლების ფასი დაუჯდება. ამიტომ, პრორუსულ კურსზე გადაიყვანა ეს 9 ადამიანი, თან შექმნა ილუზია, ჩვენ დასავლეთისკენ მივდივართო.

ევროპაში ყველაფერ ამაზე ჩვენზე უკეთ არიან ინფორმირებულნი და მეტიც, გვითხრეს, ფორმალურად, სათაურების გადმოწერა და ასეთი კანონების მიღება ჩვენთვის არაფერს ცვლის, თუ არ დავინახეთ, რომ რეალურად გადადგეს ნაბიჯი ანტიკორუფციული ან დეოლიგარქიზაციის თვალსაზრისითო, რადგან ახსოვთ, რომ მმართველი ძალა ხელს აწერს რაღაც შეთანხმებას და მერე აუქმებს. შარლ მიშელის დოკუმენტიც ახსოვთ, ის შეთანხმება, რომელზეც ხელი მოვაწერეთ და შემდეგ „გადაახიეს“ ხალხსა და შარლ მიშელს...

**– მიშელის დოკუმენტის გაუქმებაში ნაციონალურ მოძრაობასაც მიუძღვის წვლილი, ესეც უნდა ითქვას...**

– დღეს ქვეყანას კანდიდატის სტატუსი რომ არ აქვს, მმართველი ძალის დამსახურებაა. ბრიუსელში გვითხრეს, შეგეძლოთ, გქონოდათ კანდიდატის სტატუსი, უბრალოდ, ნდობა არ გვქონდა ხელისუფლებისო...

**– ოპოზიციის მიმართ რა მოწოდება აქვთ ევროპელ პარტნიორებს? რის გაკეთებას გთხოვენ?**

– მოგვიწოდებენ ჩვენი პარტნიორების მეტი ინფორმირებისკენ და პოლარიზებაზეც გვესაუბრნენ. ადრე, „ნაცი-ქოცის“ პოლარიზებაზე იყო საუბარი და ახლა ასე არ დგას საკითხი. ახლა პოლარიზება უნდა მოხდეს პრორუსსაა და პროქართველს ანუ პროევროპელს შორის, რათა ქართველმა ხალხმა გაიგოს სიმართლე.

**– თქვენს გაერთიანებაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რატომ არ არის?**

– რა ვიცი, ვეტო არავისთვის გვაქვს დადებული. ვინც გაიაზრებს იმ საფრთხეს, რომ ვიწროპარტიული კინკლაობის დრო არ გვაქვს და დემოკრატიულად უნდა გადავწყვიტოთ პროცესი...

**– ანუ აქამდე, ყველაფერ ამაზე, ენმ-ის ლიდერებთან არ გისაუბრიათ?**

– ნაციონალური მოძრაობა არ არის ერთგვაროვანი, ბევრი ლიდერია და სხვადასხვა ლიდერს სხვადასხვა პოზიცია აქვს, არაა ასე მარტივად...

**– პარტიის თავმჯდომარეს, გენერალურ მდივანს, ფორმალურ ლიდერებს რა პოზიცია აქვთ?**

– მათი კომენტარები ხომ ნახეთ? – ამბობენ, არც ერთ პარტიას არ შევუწყობთ ხელს, ჩვენი მანდატები წაიღონო... ჩვენ კი ვეუბნებით, რომ საკითხი მანდატებზე არ დგას, ჯერ ქვეყანა უნდა გადავარჩინოთ და შემდეგ გავანაწილოთ მანდატები არჩევნებში...

**– თამარ ჩერგოლეიშვილმა საკმაოდ კრიტიკული „ფეისბუქ-სტატუსი“ მიუძღვნა თქვენს გაერთიანებას, სადაც საუბრობდა იმაზე, რომ ეს გაერთიანება მელიას წინააღმდეგაა და ამის უკან კეზერაშვილი დგას...**

– ვფიქრობ, დაბნელებულია ცოტა ჩერგოლეიშვილი, გიგა ბოკერიას შეთქმულების იქით, პროცესს ვერ ხედავს.

# თბილისმა მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის თემატურ კონგრესს უმასპინძლა

მაკა რუხაძე

**თბილისმა მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის (WPA) თემატურ კონგრესს უმასპინძლა. „ფსიქიკური აშლილობების მკურნალობა და მართვა პოსტპანდემიურ ეპოქაში“ – ამ თემაზე, სამეცნიერო კონფერენციები სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ორი დღის მანძილზე გაიმართა. მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციასთან ერთად, კონგრესის ორგანიზატორი იყო ევროპის ფსიქიატრთა ასოციაცია. მათი დახმარებით და ხელშეწყობით, საქართველოში ამ დარგის 250 გამორჩეული სპეციალისტი მოიწვიეს, მსოფლიოს 20 ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტებიდან და კლინიკებიდან, რომლებმაც პოსტპანდემიურ ეპოქაში არსებულ გამოწვევებსა და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელეს. კონგრესის პარტნიორები იყვნენ: „საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება“, „ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“ და ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ რუსთაველის ფონდისა და ევროკავშირის 2020-2022 წლების სოლიდარობის პროგრამა.**

## „ფსიქიკური აშლილობების მკურნალობა და მართვა პოსტპანდემიურ ეპოქაში“

თემატური კონგრესის თანაპრეზიდენტმა და საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების პრეზიდენტმა, ეკა ჭყონიამ საკუთარ მოხსენებაში განაცხადა, რომ 10 ოქტომბერს, ცივილიზებული სამყარო ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. მისი თქმით, ამ დღეს დარგის სპეციალისტებს სამსჯავროდ გამოაქვთ წლის ყველაზე აქტუალურ თემა, რომელიც ფსიქიკური ჯანდაცვის უმთავრესი გამოწვევაა:

**„ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით, COVID-19-ის პანდემიამ შექმნა გლობალური კრიზისი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის და საფრთხე შეუქმნა მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას. მაგალითად, პანდემიამდე, 2019 წლის მდგომარეობით, დაახლოებით, რვა ადამიანიდან ერთი ცხოვრობდა ფსიქიკური აშლილობით, ხოლო 2020 წელს, პანდემიის პირველსავე წელს, 25%-ით გაიზარდა, როგორც შფოთვითი, ასევე – დეპრესიული აშლილობების მაჩვენებელი. იმავდროულად, ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის ხელმისაწვდომი სერვისები, შესაძლებლობები და დაფინანსება კვლავ დეფიციტურია, განსაკუთრებით, დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში. გარდა ამისა, პანდემიამ ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდება შეაფერხა და შეამცირა მკურნალობის ხარისხიც. ხოლო სტიგმა და დისკრიმინაცია კვლავ ბარიერია სოციალური ინკლუზიისა და სწორი ზრუნვის ხელმისაწვდომობისთვის“,** – აღნიშნა ეკა ჭყონიამ.

მისი თქმით, ჯანმო-ს ინფორმაციით, მზარდი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, გაჭიანურებული კონფლიქტები, ძალადობა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო სიტუაციები გავლენას ახდენს მოსახლეობაზე. პანდემიისა და სხვადასხვა მიზეზით, 2021 წლის განმავლობაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 84 მილიონი ადამიანი იძულებით გადაადგილდა. ეკა ჭყონიას განცხადებით, ჯანმო თვლის, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ისეთი საზოგადოების შექმნაში, სადაც დაცული იქნება თითოეული ბენეფიციარის უფლება და ყველას ექნება თანაბარი წვდომა ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისებზე.

**„2022 წლის 10 ოქტომბრის მასშტაბური კამპანიის მიზანი იყო, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ყველასთვის გლობალურ პრიორიტეტად ექცია. ეს კარგი შესაძლებლობა იყო, რადგან ერთი თემის ირგვლივ გაერთიანდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები, ექიმები, ადვოკატები, მთავრობები, დამსაქმებლები, მედია თუ სხვა დაინტერესებული მხარეები. ჩვენ ვიმსჯელეთ, რა უნდა გავაკეთოთ უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის“.**

თემატური კონგრესის ფარგლებში, „ვერსიამ“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა „ევროპის ფსიქიატრთა ასოციაციის“ პრეზიდენტთან, გეერტ დომთან. ვიდრე პოსტპანდემიურ პერიოდში არსებულ გამოწვევებზე ვკითხავდი, პირველ რიგში, დავინტერესდი, რა ტენდენციები გამოიკვეთა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებში პანდემიის დროს, როდესაც კორონავირუსის გამო, მთელი დედამიწა „დაპაუზდა“, ჩაიკეტა და რის გამოც, ჯანსაღი ფსიქიკის მქონე პირებსაც კი გარკვეული პრობლემები შეექმნათ:

**„როდესაც პანდემიაზე ვსაუბრობთ, ორ ასპექტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ერთია ინფექცია და მისი შედეგები და მეორე – სოციალური იზოლაცია ანუ ზომები, რასაც ვიღებთ პანდემიის შესაჩერებლად. თუ ვსაუბრობთ ინფექციებზე, დავინახეთ, რომ ადამიანებს, რომლებსაც უკვე ჰქონდათ ფსიქიკური აშლილობები, მაგალითად, დეპრესია ან ფსიქოზური ეპიზოდები, ისინი დაინფიცირების უფრო მაღალი რისკის ქვეშ იყვნენ და სამწუხაროდ, ისიც დავინახეთ, რომ როდესაც ინფექცია ჰქონდათ, უფრო მოწყვლადნი იყვნენ გართულებებისადმი. უნდა გავითვალისწინოთ გრძელი კოვიდიც, რასაც გრძელვადიან გართულებებს ვუწოდებთ და შემთხვევების, დაახლოებით, 20% გადადის გრძელ კოვიდში. ძირითადად, ეს ფსიქიკური და ნევროლოგიური გართულებებია, ვგულისხმობ, როგორც გუნება-განწყობის დაქვეითებას, ასევე, კოგნიტურ დეფიციტებს. ეს ჯგუფი მოწყვლადია, ინფიცირდება და სამწუხაროდ, ორმაგი მოწყვლადობაა გრძელი კოვიდის გამო. რაც შეეხება იზოლაციის ზომებს, რაც მოჰყვა კორონავირუსს, სამწუხაროდ, ამ ზომებმა დააზიანა ფსიქიკური დაცვის სისტემები და ადამიანები ვეღარ იღებდნენ შესაბამის სერვისებს, როგორც კლინიკაში, ასევე – ამბულატორიაში. ისიც უნდა ვთქვათ, რომ შეზღუდვებმა ნეგატიურად იმოქმედა ახალგაზრდებზე“,** – განუცხადა „ვერსიას“ გეერტ დომმა ექსკლუზიურ ინტერვიუში.

ცხადია, დავინტერესდით, რატომ იმოქმედა პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა ახალგაზრდებზე უფრო ნეგატიურად. გეერტ დომმა „ვერსიას“ განუმარტა, რომ ახალგაზრდებს სჭირდებათ სოციალური ინტერაქციები, ურთიერთობები, ერთმანეთის ნახვა, რაც „ლოქდაუნის“ გამო მოაკლდათ და ეს იყო მათი მდგომარეობის გაუარესების ძირითადი მიზეზი. თუმცა, იმის გამო, რომ მათი ჩვეული, რუტინული სტრუქტურები – სკოლა, კოლეჯი, უნივერსიტეტი მოიშალა, ამანაც დიდი როლი ითამაშა. გეერტ დომის თქმით, პარადოქსი ის იყო, რომ ახალგაზრდები დაზიანდნენ ინფექციასთან ბრძოლის საშუალებებით და არა – უშუალოდ, ინფექციით.

„ვერსიის“ კითხვაზე, როგორ ახსნის პანდემიის დადებით ფაქტორს ანუ ახალ შესაძლებლობებს, რაც კრიზისის დროს, ერთგვარი სტარტაპების სახით ჩამოყალიბდა, მაგალითად, პირბადეების დეფიციტის პირობებში, ინდმეწარმეებმა ნაჭრის პირბადეები შეკერეს, გეერტ დომმა გვიპასუხა:

**„ყველა კრიზისი შესაძლებლობაა. COVID-19-ის ფარგლებში, ჩვენ ვნახეთ გაცილებით ფართო თანამშრომლობა და მეტი ძალისხმევა ევროპის გაერთიანებისკენ. ფაქტობრივად, აფეთქება ტელეშესაძლებლობებისა ინდუსტრიაში, მაგრამ პირველ რიგში, ჯანდაცვაში, რაც ვაქცინების დამზადების სწრაფ პროცესში გამოიხატა და რაც მანამდე შეუძლებელი იყო.**

**რა თქმა უნდა, გეთანხმებით, დიახ, პანდემიამ უზარმაზარი ბენეფიტი მოგვიტანა, მაგრამ როდესაც ვფიქრობთ, რომ დასრულდა პანდემია და ცხოვრების ჩვეულ რიტმს უნდა დავუბრუნდეთ, ვაცნობიერებთ, რა უზარმაზარი ეკონომიკური კრიზისიც დაგვიტოვა. სამწუხაროდ, ეს კრიზისი გაცილებით ხანგრძლივი იქნება, ვიდრე პანდემია იყო. კრიზისის გამო კი, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე ადამიანები დაზიადებიან“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების წევრმა, მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის კონგრესის თანაორგანიზატორმა, ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ დირექტორმა, ნინო მახაშვილმა თემატური კონგრესი შეაჯამა:

**„ნამდვილად დიდი განსაცდელი იყო კორონავირუსთან გამკლავება, ასევე, ღრმა სტრესთან, გაურკვევლობასთან, ახლობლების დაინფიცირებისა და ეკონომიკური ზარალის შიშის დაძლევა რთული იყო და ბევრმა ადამიანმა ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლო. ეს მოსალოდნელიც იყო, როცა ძალიან დიდი ცვლილებაა ცხოვრებაში, თან ასეთი მასშტაბური, რამაც მთელი მსოფლიო მოიცვა. მართალია, წელს გაცილებით დასტაბილურდა მდგომარეობა და პოსტტრავმატულმა სტრესულმა გართულებამაც იკლო, მაგრამ ეს მდგომარეობა უკრაინის ომის დაწყებამდე გავზომეთ. ახლა მოგვიწევს, კიდევ ერთელ შევისწავლოთ, რა მოგვიტანა უკრაინის ომმა, რადგან საქართველო ისევე ჩართული, როგორც მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა. ეს დამატებითი სტრესია, რაც კვლავ გაგვირთულებს მდგომარეობას. თუმცა უმთავრესია, გვახსოვდეს, რომ კრიზისს მოაქვს შესაძლებლობები და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიპოვოთ, როგორც ეს შესაძლებლობა, ასევე, პოზიტიური მარცვალი“.**

# სამართალი

№44 9 ნოემბერი 2022 წ


# ნაპოვნია ძალოვანის ცხედარი

## რატომ მოკლა გერის საცოლემ სამამამთილო

ბათო ჯაფარიძე


**ვერ გეტყვით, არსებობს თუ არა ქვეყანა, სადაც ბოშები არ ცხოვრობენ. ისინი საკუთარი კანონებით ცხოვრობენ, აქვთ საკუთარი წეს-ჩვეულებები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე იცავენ და თაობიდან თაობას ზეპირად გადასცემენ. იშვიათია, რომ ბოშა სხვაზე დაქორწინდეს და უფრო იშვიათად, ბოშებმა გოგო სხვას გაატანონ, თუმცა გამონაკლისები ადრეც ხდებოდა და სავარაუდოდ, მომავალშიც მოხდება.**

„ზოგადად, მკვლელობა უმძიმესი დანაშაულია. შესაძლოა, წლის განმავლობაში, ქურდობის ათი ფაქტი არ გაგეხსნა და არაფერი ეთქვათ, მაგრამ ერთი გაუხსნელი მკვლელობის გამო ტყავს გაგაძრობდნენ. ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდებოდა, როცა საქმე პოლიციელის მკვლელობას ეხებოდა. ეს იყო არა მარტო აუცილებლად გასახსნელი, არამედ, ღირსების საქმეც და ასეთ დროს მთელი სამინისტრო ფეხზე დგებოდა. ვალდებულები ვიყავით, გვეპოვა პირი, რომელმაც სიცოცხლეს ჩვენი კოლეგა გამოასალმა“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საქმე მარტივი ნამდვლიად არ გახლდათ – ტყის განაპირას, ძალოვნებმა ავტომობილი იპოვეს, მის საბარგულში კი ავტომობილის მფლობელის, მიოლიციის ინსპექტორის გვამი. გვამს თ ვზე ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობა ჰქონდა და ექსპერტიზამაც დაადასტურა, რომ გარდაცვალების მიზეზი ეს იყო – სავარაუდოდ, თავში რკინის ნაჭერი ჩაარტყეს. საქმე კონტროლზე მინისტრმა აიყვანა, კურატორობა პირველ მოადგილეს დაავალა და რეალურად, ამის გაკეთება არც იყო საჭირო – ისედაც მთელი უწყება ფეხზე დადგა.

„მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მოკლულმა ერთი კვირით ადრე შვილი დაასაფლავა. მართალია, შვილი მისი არ იყო, ცოლს მოჰყვა, მაგრამ გერს საკუთარივით ზრდიდა, უფრთხილდებოდა და ახალგაზრდა კაცი ავარიას ემსხვერპლა – ავტომობილი მტკვარში გადავარდა. ცოლი განადგურებული დაგვხვდა, ჯერ შვილი, მერე – ქმარი... ქალი მოთქმით ტიროდა და მისთვის ნუგეშის ცემაც არ გამოდიოდა – რა უნდა გეთქვა, როგორ უნდა გეთქვა... ერთი ეგ იყო, პირობა დავდეთ, რომ მკვლელს აუცილებლად ვიპოვიდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ცოლმა ძიებას საიმედო ვერაფერი უთხრა – ქმარს მტრები არ ჰყავდა. თანამშრომლებიც ამბობდნენ, რომ გარდაცვლილი ძალიან გამოცდილი იყო და ისეთს არაფერს იზამდა, ვინმეს სასიკვდილოდ გაემეტებინა. როგორც ადრე იცოდნენ თქმა, ინსპექტორმა ქიციც იცოდა და ქიცმაცურიც, არც ვინმეს გააბრაზებდა, არც აწყენინებდა, საქმის მოგვარება მასთან ყოველთვის შეიძლებოდა და სწორედ ასეთი „საქმიანი“ კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი. კრიმინალური სამყაროს შეჯანჯღარებამ შედეგი არ გამოიღო – ისინი თავადაც ეძებდნენ მკვლელს, რადგან ასეთი სამართალდამცავის მკვლელობა არც მათ აწყობდათ. ისე გამოდიოდა, რომ ამ ინსპექტორის სიკვდილი არავის სურდა, მაგრამ ვიღაც ხომ იყო მკვლელი და ის ვიღაც შემთხვევითი ნამდვილად არ გახლდათ – ჯერ ერთი, გარდაცვლილს ფორმა ეცვა და მეორეც, ის საკუთარი მანქანის საბარგულში იყო ჩატენილი.

„უფროსო, შეიძლება, რამეში გამოგადგეს. დაახლოებით, ათი დღის წინ, გარდაცვლილმა გვთხოვა, ერთი ბოშა უნდა დავაშინო, რამდენიმე დღით უნდა ჩავსვათო. ამიტომ, ბოშების უბანში მივედით და ვიღაც ბებერი ქალი დავაკავე, აქაოდა, შენ და შენმა შვილიშვილმა იქურდეთო. შვილიშვილი სახლში არ იყო, გარდაცვლილმა ადგილობრივებს დაუბარა, ძებნაშია და აჯობებს, თავის ფეხით გამოცხადდესო და წამოვედით. ის ბოშა ქალი „აბიზიანკაში“ გვყავს ისევ, არც გაგვიფორმებია, არც არავის მოუკითხავს, საკვებიც თავად გარდაცვლილს მოჰქონდა დღეში ერთხელ“, – ეს სიტყვები გამომძიებელს მოკლული თანამშრომლის მეგობარმა უთხრა.

„აბეზიანკაში“, კანონის გვერდის ავლით, 12 საათით ვიღაცებს მართლაც შეაგდებდნენ ხოლმე დასაშინებლად, მაგრამ ერთი კვირით, თანაც უსაბუთოდ ადამიანის გამოწყვდევა, ძალიან უცნაური და რაც მთავარია, კატეგორიულად მიუღებელი იყო. რაღა თქმა უნდა, ქალი სასწრაფოდ გაათავისუფლეს და საგამოძიებო განყოფილებაში მიიყვანეს, თუმცა მოხუცი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, მხრებს იჩეჩავდა, არც ის ვიცი, ვინ დამიჭირა, არც ის – რისთვის დამიჭირეს და შვილიშვილი საერთოდ არ მყავსო. არადა, გამომძიებლებმა იცოდნენ, რომ შვილიშვილი ნამდვილად ჰყავდა – გოგონა, რომელსაც მარტო ზრდიდა და ცივ ნიავს არ აკარებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ქალი დააკავეს, გოგონა აღარავის უნახავს. როგორც წესი, ბოშები სამართალდამცავებთან საუბარს და განსაკუთრებით, თავისიანის ჩაშვებას გაურბიან, მაგრამ ის მაინც გაირკვა, რომ გოგონას საქმრო ჰყავდა, ახალგაზრდა ბიჭი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ქალი დააკავეს და გოგონაც გაქრა, ბიჭი აღარ გამოჩენილა. ბოშებმა მხოლოდ მანქანის მარკა და ფერი თქვეს, რომლითაც ის ბიჭი გოგოს აკითხავდა, მაგრამ ნომერი არავის ახსოვდა, ისეთი ფერისა და მარკის მანქანა კი თბილისში მაშინ ბევრი იყო.

„წესითა და რიგით, გოგონაზე ძებნა უნდა გამოგვეცხადებინა, მაგრამ ბებია ამბობდა, არავინ დამიკარგავსო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, უკანონოდ დაკავებული ქალი გაგვეშვა და მისი სახლისთვის გვეთვალთვალა, რადგან გვჯეროდა, გოგონა გამოჩნდებოდა და მისი დაკითხვა ბევრ რამეს მოჰფენდა ნათელს. მოხუცის გათავისუფლების შემდეგ, დღეც არ იყო გასული, რომ მის სახლთან ახალგაზრდა გოგონა მივიდა, ქურდულად მიმოიხედა, გარემო დაზვერა და სახლში შესრიალდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, სამართალდამცავები ფეხდაფეხ მიყვნენ და გოგოს მაშინ წაასწრეს, როცა ბებიას ხელებს უკოცნიდა. ის დაკავეს და მოხუცის წინააღმდეგობის მიუხედავად, განყოფილებაში წაიყვანეს. ახალგაზრდას გული ჯერ გზაში აერია, მერე – განყოფილებაში, პოლიციის შენობაში მორიგე ექთანმა კი თავი გადააქნია, შესაძლოა, ორსულად იყოსო და გოგონამაც თანხმობის ნიშნად თავი ჩახარა. ვისგან იყო ორსულად, გოგონამ არ იცოდა, სახელი და გვარი არ ვიციო, მაგრამ აშკარა იყო, რომ ტყუოდა, რადგან საქმრო მას სახლში აკითხავდა და ამ შეხვედრების წინააღმდეგი არც ბებია იყო და არც – ბოშათა თემი. ყველა ამბობდა, ბიჭს გულწრფელად უყვარდაო. ორსული ქალის წვალებას ძალოვნები მოერიდნენ და შინ გაუშვეს. გაუშვეს იმის იმედად, რომ საქმრო მოაკითხავდა და გაიგებდნენ, ვინ იყო, რა უნდოდა და რაც მთავარია, რა კავშირი ჰქონდა გარდაცვლილ პოლიციელთან. გამოძიებას სხვა ვერსია და მიმართულება, უბრალოდ, არ ჰქონდა.

ერთი კვირა ისე გავიდა, არც გოგონა და არც ბებიამისი სახლს არ გასცილებიან, საკვებიც კი მეზობლებს მიჰქონდათ მაღაზიიდან. არც საქმრო ჩანდა და არც ვინმე ისეთი, ვისაც ამბის მიტანა შეეძლო. მეზობელი თუ შევიდოდა რამდენიმე წუთით და მეტი არაფერი, ისხდნენ ბებია და შვილიშვილი ეზოში და ხან ერთი უვარცხნიდა მეორეს გრძელ თმას, ხან – პირიქით. შემდეგ კი... ის, რაც შემდეგ მოხდა, გამოცდილი გამომძიებლებისთვისაც კი ნამდვილი შოკი იყო. საღამო ხანს, ოპერმუშაკი ცოტას თვლემდა კიდეც, როცა ბოშების სახლის წინ ტაქსი გაჩერდა. ტაქსიდან ვიღაც ქალი გადმოვიდა, ბებიას მიესალმა, ახალგაზრდა გოგო კი გულში ჩაიკრა, შემდეგ შინ შეჰყვა, უკან ჩემოდნით დაბრუნდა, შემდეგ კი სტუმარი და გოგონა ტაქსიში ჩასხდნენ. ბოშების სტუმარი... მოკლული სამართალდამცავის ცოლი იყო.

„როცა ეს ამბავი შემატყობინეს, ვიფიქრე, შეეშალათ, აერიათ-მეთქი, მაგრამ ოპერმუშაკი იმასაც ამბობდა, ტაქსის უკან გავყევი და ქალმა გოგონა სახლში მიიყვანაო ანუ ჩვენი კოლეგის სახლში, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეცდომა გამორიცხული იყო. რა უნდა მექნა, ავდექი და ქვრივს შინ მივაკითხე. როცა სახლში შევედი, ისე იქცეოდა, თითქოს მარტო იყო, მაგრამ მე ვიცოდი და ვხვდებოდი კიდეც, რომ სახლში ვიღაც სხვაც იყო, ამიტომ პირდაპირ ვუთხარი, გოგონა გამოვიდეს და გამარკვიეთ, რა ხდება-მეთქი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გოგონა გამოვიდა, ქალმა კი მშვიდად თქვა, ჩემი გარდაცვლილი შვილის საცოლე იყო, სამწუხაროდ, ოფიციალური ქორწინება ვერ მოვასწარით, მაგრამ მისგან შვილს ელოდება და მიხარია, რომ შვილიშვილი მაინც შემრჩა ჩემი ერთასგანო. ახლა ყველაფერი გასაგები და.. უფრო გაუგებარი იყო. თუ ასეთ სიამტკბილობაში ცხოვრობდნენ, რატომ დაიჭირა სამართალდამცავმა თავისი გერის საცოლის ბებია, რატომ თქვა, საცოლეზე ძებნა იყო გამოცხადებული? რაღაც არ ებმებოდა და ლაგდებოდა. ამიტომ, გამომძიებლებმა ვა-ბანკზე წასვლა გადაწყვიტეს და მეორე დღეს, ცოლს ქმრის მკვლელობაში დასდეს ბრალი.

„არა, ეს არაფერ შუაშია, მე, მე მოვკალი“, – აყვირდა ბოშა გოგონა და ეს მართლაც სიურპრიზი იყო. გამოძიებას მართლა ეგონა, რომ ინსპექტორი სიცოცხლეს ცოლმა გამოასალმა, თუმცა...

„არა, მე მოვკალი. ჩემი საქმროს მამინაცვალიც და დედაც ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგნი იყვნენ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ბებიას დაჭერა და ჩემი დაშინება, თორემ არაფერი მოგვიპარავს. მერე მამინაცვალი გერს ჩემს გამო წაეჩხუბა, ჩემმა საქმრომ ხელი დაარტყა და მანქანით წამოვიდა, მამინაცვალი გამოედევნა და სწორედ ამ დევნის დროს მოხდა ავარიაც. ჩემი საქმრო მომიკლეს, ვერ მოვითმინე, სახლში მივადექი და ბუხრის საჩხრეკით თავი გავუტეხე. დედამთილი პოლიციაში რეკავდა, მე გაქცევას არ ვაპირებდი, მაგრამ გული ამერია და სწორედ მაშინ გაიგო, რომ ორსულად ვიყავი. მერე მითხრა, ხმა არ გაიღო, ყველაფერს მე მოვაგვარებო და დანარჩენი იცით, ჩემს გამო, ციხეში სხვას არ გავუშვებ“, – განაცხადა დაკავებულმა.

ქალმა კი... „მე დავკარგე შვილი, ქმარი და გაჩნდა იმედი იმისა, რომ შვილიშვილი მეყოლებოდა. ამიტომ, ქმარს პატიება ვთხოვე, მისი გვამი მე ჩავტენე საბარგულში, მე გავიტანე ეზოდან და მე დავტოვე იმ ადგილზე. თითის ანაბეჭდები როგორ გამექრო, ვიცოდი. ჩემი გოგონა გაუშვით, ის ხომ ორსულადაა, მან შვილიშვილი უნდა გამიჩინოს, მე ორივეს მაგივრად ჩავჯდები“...

სასამართლომ ორივე ქალი დააპატიმრა, თუმცა ყველაფერმა აზრი სასამართლომდე დაკარგა – ორსულ გოგონას მუცელი განაჩენის გამოცხადებამდე მოეშალა.

# ბურუსით მოცული გაუხსნელი მკვლელობა

## თავის ქალის კრიმინალური საიდუმლო

ბათო ჯაფარიძე

**ვერ გეტყვით, ახლა როგორ არის, მაგრამ ადრე, როცა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პარალელურად, პრაქტიკებს გავდიოდით, ყველაფერი რეალობასთან მიახლოებული კი არა, რეალური იყო. ისინი, რომლებიც იურიდიულზე სწავლობდნენ, ნამდვილად დაჰყავდათ საქმეების გამოსაძიებლად, კრიმინალების ასაყვანად, სამედიცინოს სტუდენტებს ასწრებდნენ მშობიარობას, ოპერაციებს... და ასე, მომავალი ექიმები, იურისტები, ინჟინრები პროფესიას ითვისებდნენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, დანარჩენი კი უკვე პრაქტიკულ მუშაობასა და გამოცდილებას მოჰქონდა...**

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში (უნივერსიტეტი მერე დაერქვა), მომავალ პათანატომებს გამოცდილი ექსპერტი ლექციას უტარებდა. აუდიტორიაში ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა და ლექციას არა მარტო მომავალი ექსპერტები თუ პათანატომები ესწრებოდნენ, არამედ ისინიც, რომლებსაც ამ გამოცდილი კაცის საუბრის მოსმენა სურდათ.

„დღეს აგიხსნით, როგორ უნდა მიხვდეთ, დაახლოებით, რამდენი ხანი გაატარა ძვალმა მიწაში. აგერ, მომიტანეს თავის ქალა, რომელიც სავარაუდოდ, ასი წლისაა, ნამდვილი თავის ქალაა და აგიხსნით, რა დამახასიათებელი ნიშნები აქვს ასეთი ასაკის თავის ქალას“, – განაცხადა ლექტორმა და თავის ქალას გამადიდებელ შუშასთან ერთად იისფერი შუქიც დაანათა. ლექტორი ქალას ყურადღებით დააკვირდა, მერე უფრო ყურადღებით, დაახლოებით, ერთი წუთი უტრიალა, ბოლოს თავი ასწია და მტკიცედ თქვა – „დღეს ლექცია დამთავრებულია, შემდეგში გავაგრძელებთ“. ამას არავინ ელოდა, რადგან რეალურად, ლექცია ათი წუთის დაწყებული იყო, თუმცა გაპროტესტება ვერავინ გაბედა. ლექტორმა კი თავის ქალა ხელთათმანებით ფრთხილად აიღო და დეკანატისკენ წავიდა, თან გზაში ბუტბუტებდა – „შეცდომა გამორიცხულია“. ცოტა ხანში, სამედიცინო ინსტიტუტის ეზოში მილიციის რამდენიმე მანქანა შევიდა.

„გეუბნებით, შეცდომა გამორიცხულია. არანაირი ასი და ორასი წელი, ყველაზე დიდი, ეს ქალა მიწაში სამი-ოთხი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. არა, ვაჭარბებ, ოთხიც ბევრია, სამი წელი მაქსიმუმია. არ ვიცი, როგორ მოხვდა ეს თავის ქალა ჩემს მაგიდაზე, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ გასულ კვირას გამართული ლექციის დროს, საუკუნის თავის ქალაზე ვაჩვენებდი სტუდენტებს, როგორ ხდებოდა ძვლის სიძველის შემჩნევა. ამასთან, ის თავის ქალა მამაკაცის იყო, ეს კი აშკარად ქალია“, – ცხარობდა მოხუცი პროფესორი.

რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებს ეჭვის შეტანის საფუძველი არ ჰქონდათ, მაგრამ წესი წესი იყო და ამიტომ, თავის ქალა შსს-ს საექსპერტოში წაიღეს. ადვილი მისახვედრია, რას დაწერდა ექსპერტი – „თავის ქალა ეკუთვნის ადამიანს, რომელიც ორი-სამი წლის წინ გარდაიცვალა. ქალამ მიწაში ყველაზე ცოტა – ორი, ყველაზე ბევრი კი სამი წელი გაატარა. ის 35 წლამდე ასაკის ქალბატონს ეკუთვნის“...

სამედიცინო ინსტიტუტის მომარაგების განყოფილებაში ერთი ახალბედა თანამშრომელი იყო, 30 წლამდე ბიჭი, რომელიც სამსახურში ორი თვის წინ მიიღეს. მას ებარა, როგორც თავის ქალები, ისე სხვადასხვა ნივთი და შესაბამისად, სამართალდამცავებმაც სწორედ მას მიაკითხეს. თავიდან ბიჭმა მხრები კი აიჩეჩა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ იტყუებოდა და როგორც კი ძალოვნებმა თავში წაუთაქეს (ჰო, წაუთაქეს), მაშინვე დაიწყო:

„ახალი მოსული ვარ და ყველაფერი მაინტერესებს. სწორედ ამიტომ, ნებისმიერ ნივთს ყურადღებით ვათვალიერებდი. რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებით თავის ქალამ დამაინტერესა, ნამდვილ თავის ქალას ყოველდღე ვერ ნახავს ადამიანი. თვალიერების დროს, ხელიდან გამივარდა და გამიტყდა. არ მინდოდა, ამის გამო საყვედური მიმეღო და სოფელში წავედი. იქ, მოხუც მესაფლავეს შევჩივლე, სად შეიძლება თავის ქალის ნახვა-მეთქი და იმანაც ხელი აიქნია, თავის ქალების მეტი რა არის სასაფლაოზე, ამას წინათ, შემთხვევით წავაწყდი, ძალიან ძველი იყო, ალბათ ნადირმა ამოთხარა და იქვე ჩავფალიო. მივედით, ამოვთხარეთ, წამოვიღე და დავდე. რას ვიფიქრებდი, რომ ახალი მიცვალებულის იქნებოდა და ასეთი ამბავი ატყდებოდა“, – თავი იმართლა ახალგაზრდა თანამშრომელმა.

ორ საათში გამომძიებლები იმ სოფლის სასაფლაოზე იყვნენ და მესაფლავეს ესაუბრებოდნენ, რომელმაც ის ადგილი მიუთითა, სადაც თავის ქალა იპოვა. ეს კი ერთი მიტოვებული საფლავის ტერიტორია იყო და იმის მიუხედავად, რომ თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად გახლდათ, აშკარად ჩანდა, ძველისძველი საფლავი ვიღაცამ შეაწუხა და გათხარა. ამიტომ, მოწმეები მოიყვანეს და მესაფლავეს ადგილის გათხრა დაავალეს. დაახლოებით, ნახევარ მეტრზე ადამიანის ძვლები გამოჩნდა და მალე ჩონჩხიც აეწყო – ჩონჩხი, რომელსაც თავის ქალა აკლდა. ყველაფერი ექსპერტიზაზე წაიღეს და მესაფლავეც დაკითხვაზე წაიყვანეს.

„ძველი საფლავები ხშირად გადათხრილი მხვდება – ან რამეს ეძებენ, ან ცხოველებს მარხავენ, ძაღლებს, კატებს... რამდენჯერაც გავჩიჩქნე, იმდენჯერ კატა ან ძაღლი ვიპოვე. რა თქმა უნდა, შევამჩნიე, რომ საფლავი ახალი გათხრილი იყო, როცა თავის ქალა ვიპოვე, მაგრამ ვიფიქრე, რომ ძველი საფლავიდან ამოვარდა, ამიტომ მიწა იქვე მივაყარე, მერე კი ამ ბიჭს მივეცი, როცა თავისი გასაჭირი მიამბო“, – მოჰყვა მესაფლავე.

ამასობაში, ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა – გვამს გულის მხარეს ნეკნები ჰქონდა დაზიანებული და ბასრი საგნით ჩაჭრილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძვლების პატრონი მოკლეს. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო გარდაცვლილი? სოფელში დაკარგულად არავინ ითვლებოდა, ამიტომ ბოლო სამი წლის განცხადებებს გადახედეს და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიის შესწავლა დაიწყეს. ასაკს მხოლოდ ორი ქალი ემთხვეოდა, ამიტომ ორივეს შესწავლა იყო საჭირო. ერთ-ერთს ქმარი ჰყავდა და როცა მიაკითხეს, იმან ხელი აიქნია, ცოლი რომ დაიკარგა, განცხადება სასწრაფო წესით დავწერე, მაგრამ მერე აღარც მიმიკითხავს, რადგან აღმოვაჩინე, რომ სახლიდან მთელი დანაზოგი და ძვირფასეულობა გაქრა, დარწმუნებული ვარ, ვიღაცას გაჰყვა, ნახევრად რუსი იყო და სლავები ასეთ გადაწყვეტილებას ადვილად იღებენო. სხვათა შორის, სამართალდამცავებს ისიც დადგენილი ჰქონდათ, რომ ქალმა საქართველო დატოვა ანუ ვერსია, რომ ვიღაცას გაჰყვა, სიმართლესთან ახლოს იყო.

რაც შეეხება მეორეს, მას ორი შვილი და ქმარი დარჩა, ნერვიულობდნენ, ეძებდნენ... ძებნა ერთი დღითაც არ შეუწყვეტიათ, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. სამართალდამცავებს ეს ოჯახი საეჭვო არ ეჩვენა და ბავშვებს სისხლის ანალიზი აუღეს, გვამისთვის რომ შეედარებინათ. განაჩენივით ელოდა ოჯახი ექსპერტიზის პასუხს და... გაცემული დასკვნით, ბავშვებსა და ნაპოვნ ძვლებს ნათესაური კავშირი არ ჰქონდათ. ისევ იმ ქალს მიუბრუნდნენ, რომლის ქმარიც არ ნაღვლობდა, მოიძიეს ავადმყოფობის ისტორია, სისხლის ჯგუფი და... ლამის ასპროცენტიანი დამთხვევა იყო. ამას გარდა, სპეციალური ანალიზით დადგინდა ისიც, რომ ძვლები ეკუთვნოდა ადამიანს, რომელსაც სლავურ რასასთან კავშირი ჰქონდა. ძიება სწორედ ამ მიმართულებით წავიდა.

მალე გაირკვა, რომ საქართველოდან რუსეთში წასვლიდან ორ თვეში, ქალი ისევ უკან დაბრუნდა. ახლა ის იყო გასარკვევი, ვისთან ერთად წავიდა და ჩამოვიდა საქართველოში. ამიტომ, მგზავრების სია მოიკითხეს და მხოლოდ ერთი დამთხვევა ნახეს – მამაკაცი, რომელიც ორივე რეისზე იყო. მისი ნახვა პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაირკვა, რომ საქართველოდან ერთი წლის წინ წავიდა და მას შემდეგ უკან აღარ დაბრუნებულა. მისი მოძებნა რუსეთში გადაწყვიტეს და გაარკვიეს, რომ დაკავებული იყო ძარცვის ბრალდებით და სასჯელს იხდიდა. რაღა თქმა უნდა, ძნელი იყო მისთვის აქაური მკვლელობის დამტკიცება, მაგრამ ქართველი გამომძიებლები რუსეთში მაინც წავიდნენ. დაკავებულმა ქალთან ნაცნობობა არ უარყო, თქვა კიდეც, ამეკიდა, ძლივს მოვიშორე, საქართველოში რომ ჩამოვედი, მერე გამოვეპარე და წარმოდგენა არ მაქვს, ახლა სად არისო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართული მხარე ბრალს ვერ წაუყენებდა. არადა, ქართველი გამომძიებლები თითქმის დარწმუნდნენ, რომ მკვლელი სწორედ ის იყო, თუმცა...

უკან დაბრუნებულებმა მამაკაცის მეგობრები მოძებნეს და მალე მიაგნეს კიდეც. მათ აღიარეს, ვიცნობთ, იმ ქალსაც ვიცნობდით, მაგრამ წლებია, აღარ გვინახავსო. სამაგიეროდ, მესაფლავემ ამოიცნო, ეს კაცი კარგად მახსოვს, წლების წინ იყო მოსული, დედის საფლავზე მინდა ყვავილები დავრგოო და ნიჩაბი მთხოვაო. შემდეგ ის ნიჩაბი გასასვლელთან მიგდებული იპოვა, თუმცა ვერც ის გაიგო, სად იყო კაცის დედის საფლავი და ვერც ის, ყვავილები დარგო თუ არა. საქმე, როგორც გაუხსნელი, უნდა დაეხურათ, თუმცა ყოველი შემთხვევისთვის, ის მიტოვებული საფლავი გადაამოწმეს, რომელზეც ახალგაზრდა ქალის გვამი იყო დამარხული. სოფელში მხოლოდ ერთმა მოხუცმა გაიხსენა, ეს ქალბატონი აქ ცოტა ხანს ცხოვრობდა, შემდეგ გულის შეტევით გარდაიცვალა და ბიჭმა დაასაფლავაო. ქალს ბიჭის სახელიც ახსოვდა (გვარი არა) და სახელი ეჭვმიტანილისას დაემთხვა. ქალმა სურათით ვერ ამოიცნო, წლები გავიდა, შეიძლება, ის არის, შეიძლება – არაო. ქართული მხარე რუსეთში მეორედ გაემგზავრა, მამაკაცს ბრალიც წაუყენა მკვლელობაში, მაგრამ სასამართლომ მტკიცებულებები საკმარისად არ მიიჩნია.

ბათო ჯაფარიძე

**ადრე (ეგებ, ახლაც), იყო მოსაზრება, რომ სოფლელი გოგო ან ბიჭი უფრო პატიოსანი იყო, ვიდრე – ქალაქში გაზრდილი. პატიოსნებაში ურთიერთობა იგულისხმებოდა, სოფლელი ალალია, არ მოგატყუებს, სოფელში სინდის-ნამუსი ჯერ კიდევ შერჩენილია, სიტყვა ფასობს და ა.შ. ხშირად ისმოდა, თუმცა... რეალურად, თუ წესიერია ადამიანი, სოფელშიც და ქალაქშიც ერთნაირად წესიერია და თუ უვარგისი, ერთნაირად უვარგისია ყველგან. ასე დაყოფა და დანაწევრება არც მაშინ იყო სწორი და არც – ახლა. ასევე, წინა თაობის ხალხი იხსენებს, რომ შეძლებული ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ ერთი ქალიშვილი ჰყავდათ (გაგიკვირდებათ და, ასეთი ცოტა არ იყო), ცდილობდნენ, სიძედ სოფლიდან ჩამოსული, არაფრის მქონე შეეყვანათ, ესწავლებინად, როგორც მაშინ ამბობდნენ, კაცად ექციათ და მერე, მთელი ცხოვრება მათგან დავალებული ყოფილიყო. რამდენად ამართლებდა ყველაფერი ეს, სხვა საკითხია, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათი ნამდვილად არ გახლდათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბბოთ, სწორედ ასეთი სტარტი ჰქონდა...**

# სისხლიანი სასიყვარულო ოთხკუთხედი

## როგორ გააჩინა ქალმა დის ქმრისგან შვილი და ვინ არის უკრაინელი ქალი, რომელმაც საყვარლის ცოლი მოკლა

სპორტის მიმართულებით საქართველოში ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ორი ქალიშვილი ჰყავდა. ერთი გათხოვდა და გათხოვდა ძალიან, ძალიან სიმპატიურ ბიჭზე, რომელსაც საკუთარი გარეგნობისა და სოფელში ქოხის გარდა, არაფერი გააჩნდა, თუმცა სიმამრმა მალე სამსახურიც უშოვა, ბინაც, მანქანაც და ბიჭმაც ცხოვრება ააწყო. მალე იქცა თავადაც პატივსაცემ პირად და ჭკუის დამრიგებელიც გახდა. რაც შეეხება მეორე ქალიშვილს, მასზე მამას ხელი ჰქონდა ჩაქნეული – როგორც გოგონა ყვებოდა, სადღაც, რესტორანში ცოტა დალია, მერე ვიღაც ბიჭი გაიცნო, რომლის არც სახელი იცოდა, არც – გვარი... მისგან დორსულდა და შვილიც გააჩინა. ბაბუა შვილიშვილს ყურადღებას აქცევდა, მაგრამ შვილს მუდმივად აყვედრიდა და იმასაც ამბობდნენ, ბაბუა შვილისთვის აბორტის გაკეთებას გეგმავდა, მაგრამ გოგომ თავი გაიგიჟა, მეც მოვკვდებიო და გააჩინა. ახლა კი... უფროს ქალიშვილსა და თითით საჩვენებელ სიძეს შვილი არ უჩნდებოდა, ბაბუას მზე და მთვარე უცნობი მამის შვილზე ამოსდიოდა, თუმცა ბავშვს სახელიც თავისი მისცა, გვარიც და არაფერს აკლებდა.

სიძე-სიმამრს გადასარევი ურთერთობა ჰქონდათ და ერთხელ, ისე მოხდა, რომ მივლინებით მოსკოვში ერთად გაემგზავრნენ. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩაფრენის მესამე დღეს, თბილისიდან თავზარდამცემი ამბავი ამცნეს – ახალგაზრდა კაცის ცოლი და შესაბამისად, ასაკოვანი კაცის შვილი გარდაიცვალა. მიზეზი კაცებს, რა თქმა უნდა, არც უკითხავთ, ისე გამოფრინდნენ თბილისში. აეროპორტიდან შინისკენ მიმავალ გზაზე მძღოლმა შეაპარა, მგონი, გამომძიებლებს ეჭვი მკვლელობაზე აქვთო. კაცებმა ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ მიხვდნენ, რომ არცერთს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა დასჭირვებოდა ქალის მკვლელობა. მით უმეტეს, თუ სამსახურეობრივად რომელიმე მამაკაცთან ჰქონდათ პრობლემა, მოსკოვი ამისთვის საუკეთესო შესაძლებლობა იყო. ახლა კი... ახალგაზრდა კაცის არც ცოლი, არც ცოლის და არ მუშაობდა, სიმამრიც ამბობდა, ქალის საქმე სამზარეულო და ბავშვებიაო ანუ მათ სამსახურეობრივად არავინ შეეხებოდა. აი, კაცები... თითქოს, კაცებსაც ყველაფერი დალაგებული ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა.

„ქალი მოწამლულია შინ დამზადებული საწამლავით. საწამლავის ასეთი შემადგენლობა არ იყიდება, არც იშოვება, თუმცა მისი დამზადება სახლის პირობებში, სხვადასხვა პრეპარატის გარკვეული დოზის არევის შემდეგ შეიძლება, შედეგად, მიიღება ძლიერმოქმედი შხამი, რომელსაც არც სუნი აქვს და არც გემო. მან, ვინც ეს შხამი გააკეთა, ძალიან კარგად იცის ქიმია და კარგად ერკვევა წამლების შემადგენლობაში. მეტიც, მას კარგი სამედიცინო განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული“, – ეწერა ექიმის დასკვნაში.

გამომძიებლები სხვა მიმართულებით წავიდნენ. როცა არის მკვლელობა, აუცილებლად მოტივია და ვის აწყობდა ქალის სიკვდილი? ყველაზე ნაკლებად მის ქმარს, რომელიც მთლიანად სიმამრის ოჯახზე იყო ჩამოკიდებული და ახლა, როცა ცოლი აღარ ჰყავდა, თან უშვილოც იყო, პრაქტიკულად, ამ ოჯახთან აღარაფერი აკავშირებდა და სიმამრს არათუ სამსახურიდან შეეძლო მისი გაშვება, არამედ, მარტივად შეეძლო იმის თქმაც, რომ ჩემი ქალიშვილის კუთვნილი ბინა დამიცალეო. მართალია, მემკვიდრეობით ბინის მფლობელი ქმარი უნდა ყოფილიყო, მაგრამ თუ სიმამრი მოინდომებდა... ასე მარტივად გამოირიცხა ქმარი მკვლელობის მოსურნეთა სიიდან. სამაგიეროდ, წინა პლანზე დის ინტერესები წამოიწია. მას ჰყავდა შვილი, მაგრამ არ ჰყავდა ქმარი და მისი შვილი ყველაფრის ერთადერთი მემკვიდრე ხდებოდა. ნებისმიერი რისკის ფასად, გამომძიებლებს უნდა დაედგინათ, ვინ იყო ბავშვის მამა, რადგან არსებობდა იმის შესაძლებლობაც, რომ ყველაფერი ეს სწორედ ბავშვის უცნობ მამას მოეწყო იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში, ყველაფერი სწორედ მას რჩებოდა.

გამომძიებლებმა საკუთარი მოსაზრება გარდაცვლილი გოგონას მამასაც გაუზიარეს და დახმარება სთხოვეს. მის შვილს უნდა გაეხსენებინა რამე მაინც, რაც ძიებას კვალზე დააყენებდა. ძალოვანთა ვერსია კაცს ძალზე სარწმუნოდ ეჩვენა, ამიტომ გოგოსთან მკაცრად დალაპარაკება განიზრახა და თან გამომძიებელიც იახლა. შვილს დაძალება არ დასჭირვებია, მშვიდად გაიღიმა და თქვა, რომ მისი შვილის მამა... დის ქმარი იყო. კაცს გულის შეტევა დაემართა და საავადმყოფოში გააქანეს, გოგონა კი დასაკითხად განყოფილებაში გადაიყვანეს.

„ერთ დღეს, მეგობრებთან ერთად დავთვერი, შინ სიძემ წამომიყვანა. გზაზე ჩალიჩი დავიწყე, თავიდან ისე, ხუმრობით, მაგრამ მერე და მერე აზარტში შევედი და იმანაც მანქანა გადააყენა. ურთიერთობა მოგვეწონა, ჩუმად შეხვედრები დავიწყეთ, ჩემი დის სახლშიც ხშირად მივდიოდი. მერე დავორსულდი და ამას პანიკა დაეწყო, მამაშენი ცოცხლად გამატყავებსო. ამიტომ, მოვიფიქრეთ ის ლეგენდა, რაც ვთქვით, მაგრამ ერთხელ დამ გამაბრაზა და ვუთხარი ანუ ჩემმა დამ იცოდა, რომ შვილი მისი ქმრისგან მყავდა, მაგრამ იტანდა. იტანდა მხოლოდ იმიტომ, რომ მასაც ჰყავდა საყვარელი“, – მშვიდად თქვა გოგონამ.

მონაყოლმა გამომძიებლები დააბნია. აქეთ, კაცი კვდებოდა გულის შეტევით, იქეთ, გოგონას დის სიკვდილი საერთოდ არ ადარდებდა, ბოლოს და ბოლოს, საყვარელი მამაკაცი მხოლოდ მე დამრჩებაო და... ძალოვნებმა ახლა გარდაცვლილის ქმრის დაკითხვა გადაწყვიტეს. ვერსია, რომ მას მოტივი არ ჰქონდა, გაქარწყლდა, რადგან ცოლის მოშორება და ცოლის დაზე, თანაც შვილის დედაზე დაქორწინება აშკარად მოტივი იყო.

„არ ვარ ასეთი გამბედავი. არ მაპატიებდა სიმამრი. ისევ მარტო გაზრდიდა შვილიშვილს და არც ცოლის მკვლელი ვიყავი. ვიცოდი თუ არა, ცოლს რომ საყვარელი ჰყავდა? შეიძლება, ვხვდებოდი, მაგრამ, ეგებ, მაწყობდა, რადგან ყოველდღიურად არ წამომაძახებდა ხოლმე, ჩემს დასთან რომანი გქონდაო“, – განაცხადა დაკავებულმა და... განყოფილებაში დარეკეს, მოწამვლის დიაგნოზით, საავადმყოფოში კიდევ ერთი ქალი შეიყვანეს და ეს ქალი სწორედ აღნიშნული საქმის გამომძიებლებისთვის იყო საინტერესო. ქალბატონი, რომელიც ზუსტად იგივე პრეპარატით იყო მოწამლული, უკვე გარდაცვლილი ქალის ქმართან ბუღალტრად მუშაობდა. ის წარმოშობით უკრაინელი გახლდათ და როცა გამომძიებლები დასაკითხად მივიდნენ, ლამის, დამუნჯდნენ – მათ წინ საოცარი ქმნილება იწვა. ექიმმა დაკითხვის ნება არ მისცა, ჯერ გონზეც არ მოსულა და ზოგადად, თუ გადარჩება, დაკითხვაზე მერე ვისაუბროთო. სამართალდამცავებსაც ლოდინის გარდა, სხვა გზა არ ჰქონდათ. პროცესი სამ დღეზე მეტხანს გაიწელა და როგორც იქნა, საავადმყოფოდან ნანატრი ზარი გაისმა – ქალი აზრზე მოვიდა და დაკითხვისთვის მზად იყო. სანამ მისი პალატის კარს ისევ შეაღებდნენ, მაძებრებმა უკრაინიდან მიღებული ცნობები გადაამოწმეს და უკვე ზუსტად იცოდნენ, რომ ბუღალტერს შესაბამისი კურსი თბილისში ჰქონდა გავლილი, თორემ როცა უკრაინიდან ჩამოვიდა, პროფესიონალი ფარმაცევტი იყო და თანაც, ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის წითელი დიპლომიც ჰქონდა.

„უკრაინაში ერთ დღეს დავკარგე ჩემთვის ძვირფასი ადამიანები – დედ-მამა და ძმა ავარიაში დაიღუპნენ. ქვეყანაში გაჩერება აღარ მსურდა და საქართველოში წამოვედი. რატომ მაინცდამაინც აქ? იმიტომ, რომ საქართველოზე მუდამ კარგი მესმოდა და რაც მთავარია, ყველა ამბობდა, რომ ქართველ მამაკაცზე ვაჟკაცური ტიპები მსოფლიოში არ არსებობენო. ჰოდა, ასეთი ვაჟკაცური ტიპი გავიცანი, შემიყვარდა, რომანი გავაბი... მისი გულისთვის საბუღალტრო კურსებიც დავამთავრე, ფარმაცევტულ საქმიანობას დავემშვიდობე და მასთან ბუღალტრად მოვეწყვე. ვიცოდი, რომ ცოლი ჰყავდა და მპირდებოდა, დავშორდებიო, ბოლოს მითხრა, მეშინია, მამამისი გამანადგურებსო. ამიტომ გადავწყვიტე კონკურენტის მოშორება, ვუთხარი კიდეც, ვერავინ ვერაფერს გაიგებს-მეთქი. მან იცოდა, რომ ცოლი მაშინ უნდა მომეკლა, როცა თავად არათუ ქალაქში, საქართველოში არ იქნებოდა. მერე კი... მერე იგივე საწამლავი გამირია და ჩემი მოშორებაც მოინდომა, მაგრამ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა – როგორც საწამლავი შევქმენი, ასევე შევქმენი მისი გასანეიტრალებელი საშუალებაც. როგორც კი თავი ცუდად ვიგრძენი, გასანეიტრალებელი საშუალება დავლიე დიდი ოდენობით და გადავრჩი. პასუხისგების არ მეშინია, მაგრამ მინდა ის ნაძირალაც ციხეში წავიდეს, რადგან მის გამო მკვლელობაზე წავედი, ის კი მე მიმეტებდა“, – განაცხადა ქალმა.

რა თქმა უნდა, მამაკაცი დააკავეს და არაფრის დამალვას აზრი არ ჰქონდა. მას იმედი ჰქონდა, რომ შვილის ბაბუა არ გაიმეტებდა, თუმცა ბაბუა კომადან ვერ გამოვიდა. სიძეს კი, მკვლელობის მცდელობისა და მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

## შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ დასკვნითი ღონისძიება ქუთაისში გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, კიდევ ერთი, დასკვნითი საზოგადოებრივი ღონისძიება ქუთაისში, დავით აღმაშენებლის სახელობის მოედანზე გაიმართა. კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან წლის ბოლომდე გაგრძელდება.

ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე, სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობა ჩატარდა. ღონისძიებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსი ვასილ პეტრიაშვილი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ზაზა ცხაკაია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში ზვიად შალამბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ხელმძღვანელი პირები.

კამპანიის ფარგლებში, ორი თვის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში იმართებოდა საზოგადოებრივი ღონისძიებები, რომლებსაც ათასობით ადამიანი, მათ შორის, მოზარდები სტუმრობდნენ.

ქუთაისში გამართულ ღონისძიებაზე მისულ ყველა სტუმარს საშუალება ჰქონდა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, დაცვის პოლიციისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სივრცეებში გასცნობოდა აღნიშნული დანაყოფების საქმიანობას, ასევე, შეეძლოთ აღჭურვილობა და სპეცტექნიკა დაეთვალიერებინათ. ღონისძიებაზე მისულ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში ჩართულიყვნენ.

კამპანიის ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიებების პარალელურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების წარმომადგენლების 50-მდე ვიზიტი განხორციელდა სხვადასხვა სკოლაში. მოსწავლეებთან საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები წლის ბოლომდე გაგრძელდება. შეხვედრების მიზანია, ბავშვებსა და მოზარდებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

## კახეთის პოლიციამ თბილისში პოლიციელებზე თავდასხმის, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი.ქ. თბილისში დააკავეს.

მას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა, ნარკოტიკული საშუალების უკანონო დათესვა-მოყვანა, მცენარე კანაფის უკანონო შენახვა, ასევე, პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმა.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ახმეტაში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლსა და ეზოში არსებულ სათავსოებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: ერთლულიანი გადაჭრილი სანადირო თოფი, ცეცხლსასროლი პისტოლეტის მჭიდი, სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 7 ვაზნა, გამომშრალი „მარიხუანა“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე კანაფი.

პოლიციამ მიმალვაში მყოფი ი.ქ., მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის სახით დააკავა. ბრალდებულმა დაკავებისას, დანის გამოყენებით სცადა პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმა, რაც სამართალდამცველებმა აღკვეთეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ამოღებულია ნივთმტკიცებად.

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის, ნარკოტიკული საშუალების უკანონო დათესვა-მოყვანის, მცენარე კანაფის უკანონო შენახვის, ასევე, პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 265-ე, 273-ე პრიმა და 353-ე პრიმა მუხლების პირველი ნაწილებით მიმდინარეობს.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად ჩატარებული კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისსა და სამეგრელოში ხუთი პირი დააკავეს.

1995 წელს დაბადებული რ.დ. და 1977 წელს დაბადებული ლ.მ. „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით არიან დაკავებულნი, ხოლო 1982 წელს დაბადებული დ.მ., 1995 წელს დაბადებული ჩ.გ. (მეტსახელად, „ჩიკო“), 1964 წელს დაბადებული თ.ბ. პოლიციამ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის დააკავა.

დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ რ.დ.-მ და ლ.მ.-მ არსებული ფინანსური დავის მოსაგვარებლად მიმართეს ,,ქურდული სამყაროს“ წევრებს – დ.მ.-ს, თ. ბ. და ჩ.გ.-ს. კომპლექსური გამოძიებით კი დადგინდა, რომ ბრალდებულები – „ქურდული სამყაროს“ წევრები – აქტიურად მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში და მოქალაქეების მიმართვის საფუძველზე, მოდავე მხარეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარების, სადავო საკითხების „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და მათი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, ე.წ. ქურდულ გარჩევებს აწყობდნენ, გადაწყვეტილებების აღსრულებას პირადად აკონტროლებდნენ და მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთს, სადავო თანხის მიტანას აიძულებდნენ.

ბრალდებულმა „ქურდული სამყაროს“ წევრებმა მოდავე მხარეებს შორის არსებული დავის გადაწყვეტის მიზნით, თბილისსა და სამეგრელოში რამდენჯერმე მოაწყვეს ე.წ. ქურდული გარჩევები.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ასევე ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

„ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით და 223-ე მეოთხე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

## პოლიციამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებმა, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე: 1971 წელს დაბადებული ს.ქ. და 1990 წელს დაბადებული ს.ჰ., სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში დააკავეს.

დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ს.ქ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ბრალდებით, ხოლო ს.ჰ. – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ქ. თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანით ს.ჰ.-ს სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა. პოლიციამ ორივე მამაკაცი ბრალდებულის სახით დააკავა. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-344-ე და 344-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

# კვარაცხელიას ტრავმა, მოპარული მანქანა და დატოვებული სახლი

სპორტში ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა და სამწუხაროდ, ტრავმის გამო, იტალიურ კარიერაში, პირველი შეხვედრის გამოტოვება მოუხდა ხვიჩა კვარაცხელიას. „ლივერპულთან“ შეხვედრაში, მან წელის ტრავმა მიიღო და მთავარმა მწვრთნელმა, ლუჩანო სპალეტიმ ბერგამოში, „ატალანტასთან“ სათამაშდ არ წაიყვანა. თუმცა, ეს არ იყო ის სიახლე, რომელმაც კვარაცხელიასთან მიმართებაში, გასულ კვირას გაიჟღერა. ქართველ შემტევს მანქანა მოპარეს.

ისტორია მაშინ დაიწყო, როცა ხვიჩას შინ მშვიდად ეძინა, მანქანა კი სახლის ეზოში იდგა და ის ქურდებმა ჩუმად გაიყვანეს. მართალია, ავტომობილი მალევე იპოვეს და მფლობელს დაუბრუნეს, მაგრამ ფაქტია, ნეაპოლში მთლად უსაფრთხო სიტუაცია არ არის, რადგან ხვიჩას შემდეგ, მანქანა მის თანაგუნდელს, სამხრეთ კორეელ მცველსაც მოპარეს. ჰოდა, ქართველმა ნახევარმცველმა სახლი დაცალა და საცხოვრებლად იმ სასტუმროში გადავიდა, სადაც თავიდან ცხოვრობდა. ცნობისთვის, კლუბს აქვს ვალდებულება, ფეხბურთელს სახლი დაუქირავოს, მაგრამ როცა ის სახლზე უარს ამბობს, სასტუმროს უფინანსებენ. სასტუმროში კვარა მარტო აშკარად  არ იქნება – იმავე სასტუმროში და იმავე სართულზე, სადაც კვარაცხელია იცხოვრებს, „ნაპოლის“ მთავარი მწვრთნელი, მეორე წელია, ოჯახთან ერთად, ლუჩანო სპალეტი ცხოვრობს.

რაც შეეხება ტრავმას, დიდი ალბათობით, ხვიჩა მიმდინარე წელს, კლუბის მიერ ჩასატარებელი ორი შეხვედრიდან, ერთში მაინც ითამაშებს. და ერთიც, არანაკლებ საინტერესო ფაქტი. „ატალანტასთან“ მოგბეული მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, კვარაცხელიას შესახებ, სპალეტის კითხვა დაუსვეს.

**„მესმის , რომ ჟურნალისტებისთვის სამყარო კვარაცხელიას გარშემო ბრუნავს, მაგრამ ხომ დაინახეთ, რომ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ვერაფერს წყვეტს. დღეს არ გვყავდა კვარა, მაგრამ საუცხოოდ ითამაშა ელმასმა. მერწმუნეთ, მხოლოდ ერთ ფეხბურთელზე აქცენტის გაკეთება, გასახდელში არავის სიამოვნებს და შეეცადეთ, სხვა ფეხბურთელების მდგომარეობაც გაითვალისწინოთ“,** – უპასუხა მან.

# ნაკრები მსოფლიოსთვის მზადებას შეუდგა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრები ელის. ჯგუფში, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ისლანდიაა და სწორედ ისლანდიელებს ვსტუმრობთ 11 ნოემბერს, რეიკიავიკში. მატჩი, თბილისის დროით, 23.30 საათზე დაიწყება და მას საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გვანახებს. სამი დღის შემდეგ კი თბილისში, იმავე მსოფლიოს საკვალიფიკაციო ტურნირის ეგიდით, იტალიას ვმასპინძლობთ.

ილიას ზუროსის მთავარი მისია, სწორედ ისლანდიაში გამარჯვებაა და თუ ჩვენი გუნდი ამას მოახერხებს, ჯგუფიდან გასასვლელად დიდ ნაბიჯს გადადგამს. შეგახსენებთ, რომ მოტეხილი მხრის ტრავმა მოიშუშა და ნაკრებს აუცილებლად დაეხმარება კაპიტანი თორნიკე შენგელია. თოკო კლუბში უკვე თამაშობს და ჩვეულ ფორმასაც ნელ-ნელა უბრუნდება.

# ყატარში მსოფლიოს ჩემპიონატი პროტესტის ფონზე დაიწყება

თითებზე დასათვლელი დღეები დარჩა მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატამდე და რაც უფრო ახლოვდება მუნდიალის სტარტი, მით უფრო იწევს დაძაბულობა. საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, პრაქტიკულად, ყოველ საათში ავრცელებენ ინფორმაციას ახალი გარდაცვლილი მუშის შესახებ. ყატარში ყველაფერი უნდა მოესწროს, ამიტომ სამუშაო გრაფიკიც გამკაცრებულია, თუმცა არის ქალაქები, საიდანაც პაკისტანელები, ნეპალელები და ინდოელები ანუ ძირითადი მუშა-ხელი უბრალოდ გააგდეს. ჰო, გააგდეს, რადგან უთხრეს, რომ ისინი უკვე საჭირო აღარ არიან და ახლა მხოლოდ ქალაქის იერ-სახეს ამახინჯებენ.

გერმანიის ბუნდესლიგის ბოლო ტურში, გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე ბანერები გამოფინეს წარწერით – **„15 000 გარდაცვლილი ფეხბურთის 5 760 წუთისთვის“.** თან, ეს ისეთი კლუბების გულშემატკივრებმა გააკეთეს, როგორებიც მიუნხენის „ბაიერნი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ არიან. ცნობისთვის, ყატარში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება 2010 წელს გადაწყდა და მას შემდეგ, ქვეყანამ არა მარტო ახალი სტადიონები, არამედ, ახალი ქალაქიც ააშენა, თუმცა ეს ყველაფერი საშინელ ფასად – ოფიციალური სტატისტიკით, მშენებლობებზე, კვირაში, საშუალოდ, 12 მუშა იღუპებოდა.

# პიკე: „მივდივარ, რათა დავბრუნდე“

ხერარდ პიკემ კარიერა დაასრულა. მარტივად შეიძლება ითქვას, რომ ამ ფეხბრუთელმა ეპოქა შექმნა და რაც მთავარია, შექმნა თავად, საკუთარი შრომითა და ოფლით. „ბარსელონას“ აკადემიაში აღზრდილი ფეხბურთელი, 2004 წელს, კლუბმა „მანჩესტერში“ გაუშვა, სადაც მან იჯარით ორი წელი ითამაშა და... მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ კლუბი პიკეს დაიბრუნებდა, ის „სარაგოსაში“ გაანათხოვრეს და „ბარსელონაში“ მხოლოდ 2008 წელს დაბრუნდა. დაბრუნდა იმისთვის, რომ შეექმნა ეპოქა და კლუბთან ერთად, 30 ტიტული მოეგო. მათ შორის, პიკე რვაჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, შვიდჯერ აღმართა ქვეყნის თასი, ექვსჯერ მოიგო სუპერთასი, სამჯერ ჩემპიონთა ლიგაზე იზეიმა გამარჯვება, ევროპის სუპერლიგასა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზეც. მან „ბარსელონაში“ 615 მატჩი ჩაატარა და 53 გოლი გაიტანა, ხოლო ესპანეთის ნაკრებში, რომელთან ერთადაც მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გახდა, 102 შეხვედრაში, 5 გოლი შეაგდო.

**„მე წავედი, რათა დავბრუნდე. აქ აუცილებლად მოვალ, ოღონდ, სხვა რანგში“,** – განაცხადა პიკემ და კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ ადრე ნათქვამ სურვილზე უარს არ აპირებს და მას კლუბის პრეზიდენტობა სურს.

კიდევ ერთი , არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი – პიკეს წასვლა გამოეხმაურა ლეგენდარული, ყველაფრის მომგები „ბარსელონას“ ყველა ფეხბურთელი, გარდა ლიონელ მესისა. საქმე ის გახლავთ, რომ როცა მესის წასვლა-დარჩენის საკითხი წყდებოდა, პიკემ კლუბის პრეზიდენტს არგენტინელის გაშვება ურჩია, ამით ფინანსური პრობლემები მოგვარდებოდა. ლეო რომ დარჩენილიყო, საჭირო გახდა რამდენიმე ფეწხბურთელს ხელფასი გარკვეული პრ ოცენტით შეემცირებინა. ყველამ თანხმობა განაცხადა, გარდა პიკესი – მან კატეგორიული უარი თქვა მესის გამო ხელფასის შემცირებაზე. როგორც ჩანს, ლეოს წყენა ჯერაც არ დავიწყებია.

# პრობლემა, სახელად – თავი ტატამში!

ძიუდოს სამყაროში წესები ლამის ყოველდღურად, ტურნირიდან ტურნირამდე იცვლება. აქამდე, თითქოს პრობლემა არ იყო და ქართველებს ახალ წესებთან შეგუება არ უჭირდათ, მაგრამ ახლა სიტუაცია აშკარად ცუდისკენ შეიცვალა. ერთ-ერთი ახალი წესის მიხედვით, ილეთის კეთების დროს,თავით ტატამისკენ წასვლა აკრძალულია ანუ ტატამს თავით არ უნდა დაერჭო და ზოგადად, არც გვერდულად, მხოლოდ თავით არ უნდა შეეხო. როგორც ძიუდოს მამები ამბობენ, ეს ძიუდოისტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო მოიგონეს, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სერიოზული ტრავმა ამ კონკრეტული მიზეზით, ვინმეს, შესაძლოა, მთელი კარიერის განმავლობაში ერთხელ, ან საერთოდ არ მიეღო. ეს უფრო იმას ჰგავს, მსაჯების გადასაწყვეტი რომ ხდება, ჩათვალონ თუ არა გდება.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ქართველებს ამ ახალ წესთან შეგუება ცოტა უჭირთ-თქო. ჯერ იყო და, ლაშა ბექაური, სწორედ ამ ილეთის გამო, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალიდან მოხსნეს, ახლა კი, ბაქოს გრანდ-სლემიდან გურამ თუშიშვილი ჩახსნეს. არადა, თუ ბექაური შედარებით ახალგაზრდაა, თუშიშვილს ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და წესით, არ უნდა შეშლოდა. ჩვენი ვარაუდით, არც შეეშალა, რამდენჯერმე ვუყურეთ ილეთს, მაგრამ... გურამის მეტოქე მასპინძელი გამზატხანოვი იყო და ვფიქრობთ, მას მსაჯებმა, უბრალოდ, უჯიგრეს.

რაც შეეხება უშუალოდ ტურნირს, საქართველოს ნაკრების ანგარიშზე ბრინჯაოს ორი მედალი – კვარცხლბეკზე, ლაშა შავდათუაშვილი (-73 კგ.) და ლუკა მაისურაძე (-90 კგ.) ავიდნენ.

# ერთი ფოტოს ისტორია

კენტუკის საკალათბურთო გუნდის თამაშზე, უცნაურად ჩაცმული მამაკაცი გამოჩნდა. უფრო ზუსტად, სამუშაო ტანისამოსში გამოწყობილი ჭუჭყიანი მამაკაცი, რომელსაც თან პატარა ბავშვი ახლდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს კაცი მაიკლ მაგუაირი იყო, რომელიც შვილს დაპირდა, რომ საყვარელი გუნდის თამაშზე აუცილებლად წაიყვანდა, თუმცა რომ არ დაეგვიანა, სახლში შესვლა და გამოცვლა ვერ მოასწრო და მატჩზე პირდაპირ სამუშაო ფორმით, მტვრიანი მივიდა.

როცა ეს ისტორია კენტუკის თავკაცმა, ჯონ კალიპარიმ გაიგო, მაიკლ მაგუაირსა და მის შვილს, სტადიონზე მთელი წლის მანძილზე დასასწრები, ვიპ-აბონიმენტი აჩუქა.

# მშობლებო, ეს ინტერვიუ აუცილებლად წაიკითხეთ!

ლიკა თორთლაძე

## როგორ ვიპოვით სანდო ძიძა

**ღირსეული ძიძის პოვნის პრობლემა თითქმის ყველა იმ ოჯახში დგას, სადაც ახალშობილი ან პატარა ბავშია. მშობლები შვილებისთვის სანდო ძიძას ეძებენ. სოციალურ ქსელებშიც არაერთხელ შეგვხვედრია განცხადებები ამ საკითხზე, თუმცა სანდოა თუ არა ადამიანი, რომელსაც შვილს ვუტოვებთ, ამის გარანტიას მხოლოდ შესაბამისი სააგენტოები გვაძლევენ. ისევე, როგორც ძიძის შერჩევა, მათი დასაქმებაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. რა უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა ძიძის აყვანის დროს და როგორ შეუქმნან ბავშვებს უსაფრთხო გარემო? – „ვერსია“ თბილისის საოჯახო პერსონალის საკადრო ცენტრ „ბაიას“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელ შანა შალიკაშვილს ესაუბრა.**

**– რატომ უჭირთ მშობლებს სანდო ძიძის პოვნა?**

– ძიძის მიერ ბავშვებზე ფიზიკური ძალადობისა და ოჯახის ძარცვის უკვე ძალიან ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა. ამის გამო, საზოგადოებას ძლიერი შიში გაუჩნდა. სამწუხაროდ, ხშირად მშობლები ძიძებს სხვადასხვა ინტერნეტ-ჯგუფებიდან ირჩევენ, ან ახლობლის რჩევით მიჰყავთ და მათ შესახებ სრულ ინფორმაციას არ ფლობენ. ამის შედეგად კი სხვადასხვა სახის უსიამოვნებასა და გაუგებრობას აწყდებიან. მოძალადე ძიძების 95% სწორედ ამ გზით არიან შერჩეულნი. მშობელს ჩემთვის უთქვამს, რომ ძიძა თავად შეარჩია, მაგრამ კითხვაზე, გადაამოწმა თუ არა კონკრეტული პირის მონაცემები და მოსთხოვა თუ არა პირადობის მოწმობის დამადასტურებელი საბუთი, პასუხი უარყოფითი იყო. ვფიქრობ, ეს დაუშვებელია, რადგან სააგენტოსგან დამოუკიდებლად ნაპოვნმა ძიძამ შესაძლოა, რეალური ვინაობაც კი დამალოს. საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა არ იცის, რომ არსებობს სერვისი, რომლის მეშვეობითაც დარწმუნებული იქნება კვალიფიციური და სანდო კადრის პოვნაში. ჩვენ თავდაუზოგავად ვშრომობთ, რათა ოჯახებს კვალიფიციური და სანდო პირები გავუგზავნოთ. ჩვენ ვზრუნავთ თითოეული ოჯახის ინტერესებზე.

**– რა აუცილებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს თქვენთან დასაქმების მსურველმა?**

– ნებისმიერ პირს, რომელსაც ამ პოზიციაზე დასაქმების სურვილი აქვს, ვთხოვთ, მოგვაწოდოს გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი, სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად, როგორებიცაა პირადობის დამადასტურებელი საბუთი, ცნობა ნასამართლეობის შესახებ, ასევე, რეკომენდაციების ფურცელი და დიპლომი – განათლების შემთხვევაში. ამის შემდგომ მიღებულ ინფორმაციას ვამოწმებთ პირადი მონაცემების, ოჯახის წევრების ვინაობისა და მათი საქმიანობის შესახებ. იმ ოჯახებს კი ამომწურავ და სანდო ინფორმაციას ვაწვდით, რომლებსაც, ბუნებრივია, აინტერესებთ, ვინ მუშაობს მათ შვილებთან.

**– რა კრიტერიუმების საფუძველზე ასაქმებს ძიძებს სააგენტო „ბაია“ ?**

– პირველი დაკვირვების საგანი ვიზუალი, ასაკი და საუბრის მანერაა. ყურადღებას ვაქცევთ, რამდენად მოწესრიგებულია კონკრეტული პირი და რა გამოცდილება აქვს ამ საქმიანობაში. უტარდებათ ფსიქოლოგიური ტესტი. გასაუბრებებზე ვაკვირდებით, რამდენად ბუნებრივად საუბრობს ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ ძიძის პოზიციაზე დასაქმების სურვილით ძალიან ბევრი ადამიანი მოდის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ძიძა გახდება. შესაძლოა, პირველი ეტაპი წარმატებით გაიარონ, თუმცა მოგვიანებით, სხვადასხვა სახის შეცდომა ვლინდება. მეორე ეტაპზე, ხშირად, ერთი და იგივე პიროვნებას, პირველ ეტაპთან შედარებით, სრულიად განსხვავებულად უსაუბრია, ასევე, გამოუჩენია მცირე დოზით სიზარმაცე, ამგვარი შეცდომების დაფიქსირებისთანავე, დასაქმების მსურველი პირი მიუღებელია და ვერ საქმდება. რაც შეეხება ბოლო ეტაპს, მომავალი ძიძა ამ ეტაპს უშუალოდ ოჯახში გადის, სადაც აუცილებლად არიან მეთვალყურე პირები, რომლებიც ძიძის ქმედებებს აკვირდებიან. შესაძლოა, სახლში ვიდეო-კამერები იყოს დამონტაჟებული. ამ ეტაპის წარმატებით გავლის შემდგომ, მათ უკვ ოფიციალურად ვასაქმებთ.

**– განათლების გათვალისწინებით, რამდენად განსხვავდება კადრების ანაზღაურება ერთმანეთისაგან?**

– ყველა ოჯახს განსხვავებული კადრი სჭირდება განათლებისა და გამოცდილების შესაბამისად, ზოგს უმაღლესი განათლების მქონე ძიძა უნდა, ზოგს – საშუალო განათლების, თუმცა კულტურული, ემოციური ინტელექტის მქონე და რაც მთავარია, საკუთარ თავზე მომუშავე ადამიანი. ოჯახის მოთხოვნების შესაბამისად, ანაზღაურებაც სხვადასხვანაირია. ჩვენ ვწყვეტთ, თუ რომელი ადამიანი შეეფერება კონკრეტულ ოჯახს.

**– თუ სთხოვთ დასასაქმებელ პირებს, ჩაიტარონ გამოკვლევები სხვადასხვა დაავადებაზე და აიცრან, როგორც გრიპის, ასევე, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინით?**

– ჩვენი მოთხოვნა ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის ჯანმრთელობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა. მწვავე ეპიდემიის პერიოდში მკაცრი მოთხოვნა იყო, თითოეული მათგანი აცრილიყო. ასევე, მათთვის, რომლებსაც ძიძად მუშაობა სურთ, კოვიდ-ტესტირება დღემდე აუცილებელი პირობაა. რაც შეეხება სხვადასხვა დაავადებას,მომავალმა ძიძებმა გასაუბრებიდან ათი დღის განმავლობაში, უნდა წარმოადგინონ გამოკვლევის პასუხები „ცე“-ჰეპატიტსა და შიდსის ვირუსზე. მშობლებს კი, რომლებსაც სურვილი აქვთ, აცრან ძიძა სხვადასხვა ინფექციებზე, ხშირად მოჰყავთ ხოლმე სააგენტოში, მათ ვაფინანსებთ და შემდგომ იცრებიან.

**– არსებობს თუ არა ტრენინგი ან გადამზადების პროგრამა მათთვის, ვისაც ჯერ არ აქვთ გამოცდილება ამ კუთხით?**

– რა თქმა უნდა, სააგენტოს ჰყავს ტრენერი ბავშვის აღმზრდელად მუშაობით დაინტერესებული პირებისთვის, თუმცა თუ ადამიანს უშუალოდ ძიძის პოზიციაზე არ უმუშავია, მაგრამ უახლოეს წარსულში შვილიშვილი აღზარდა, ან აქვს საბავშვო ბაღში მუშაობის გამოცდილება და როგორც აღვნიშნე, აკმაყოფილებს კრიტერიუმებს საუბრისა და კულტურული ქცევის მანერის, ასევე, ვიზუალის მიხედვით, ვაძლევთ შანსს და ვარეგისტრირებთ. ხდება ისეც, რომ გამოუცდელი ძიძები გამოცდილზე გაცილებით უკეთ ასრულებენ თავის საქმეს. გაზარმაცებული, ათწლიანი გამოცდილების მქონე ძიძებიც შეგვხვედრია.

**– თუ გქონიათ ცუდი გამოცდილება ძიძასთან დაკავშირებით, მომხდარა თუ არა რაიმე გაუთვალისწინებელი და როდესმე თუ დაფიქსირებულა ბავშვის მიმართ უხეში მოპყრობის ფაქტი?**

– საბედნიეროდ, ამ მხრივ არ გვქონია მსგავსი შემთხვევა. მხოლოდ ერთ ქალბატონს გამოვარჩევდი, რომელიც ჩვენს ბაზაში იყო, თუმცა სხვა სააგენტოს მიერ დარეგისტრირებული და დასაქმებული გახლდათ. ჩვენს ბაზაში მოხვედრიდან ორი წლის შემდეგ, სააგენტოსაგან დამოუკიდებლად დასაქმდა ერთ-ერთ ოჯახში, სადაც მოგვიანებით, ვიდეო-კამერის ჩანაწერებში, ბავშვის მშობელმა უხეში მოპყრობის ფაქტები შენიშნა. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრ ადამიანს, ჩვენი სააგენტოს სახელი გამოუყენებია საკუთარი ინტერესებისთვის და ოჯახის ნდობის მოპოვების მიზნით, ტყუილი უთქვამს, თუმცა მშობლები მაშინვე რეკავენ და ამოწმებენ, მართლაც ჩვენს მიერ გაგზავნილია თუ არა იგი. ჩვენ ფხიზლად ვართ, რომ არავინ შეცდეს.

**– რა უნდა გაითვალისწინონ და რას ურჩევდით მათ, რომლებიც ძიძის ძებნას ახლა იწყებენ?**

– მშობლებს მოვუწოდებ, მოერიდონ Facebook-გვერდებზე განცხადებების განთავსებას და არასერიოზული გზებით ძიძის შერჩევას, რადგან ძირითადად, არავინ იცის, ვინ არიან ისინი, რეალურად. ოჯახებს უნდა ეშინოდეთ ისეთი ადამიანების სახლში შეშვების, რომელთა პირადი მონაცემებიც გადაუმოწმებელია, ვისი გამოცდილების შესახებაც არ ფლობენ სრულ ინფორმაციას. სწორედ ამ გზებით არჩეული კადრები სჩადიან დანაშაულს, როგორიცაა ქურდობა, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა. სააგენტოები იმისთვის მუშაობენ, რომ ოჯახები არ აღმოჩნდნენ მსგავსი ფაქტების წინაშე. მე ყველას ვურჩევ, მიმართონ „ბაიას“ მსგავს ოფიციალურ სააგენტოებს, სადაც კადრები გადიან შესაბამის გასაუბრებებს და მხოლოდ რამდენიმე ეტაპის გავლის შემდგომ იღებენ ამ პოზიციაზე დასაქმების უფლებას. შეიძლება, ოჯახებს ფინანსური მხარე აბრკოლებდეთ, რადგან შემკვეთს მომსახურების საფასურის გადახდა უწევს, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, შეღავათიან ფასებში გავუწიოთ მომსახურება მათ. ასევე, მინდა გავაფრთხილო ყველა, რომ დაზღვეულნი არ არიან, სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცრუ ინფორმაციის მიღებისაგან. ის, თუ რამდენად გამართული და სანდოა კონკრეტული სერვისი, სჯობს, თავად დარწმუნდნენ. მშობლები აუცილებლად ადგილზე უნდა მიბრძანდნენ, რათა ნახონ, თუ როგორ მუშაობს ის კონკრეტული სააგენტო, რომელსაც უნდა ენდონ.

# „აიფონი“ „როლექსის“ საათით

დიზაინერებმა არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან, უახლესი სმარტფონის – Apple iPhone 14 Pro Max 135-ის ათასდოლარიანი ვერსია შექმნეს, რომელსაც უკანა პანელზე Rolex-ის საათი აქვს. ტელეფონის კორპუსი ტიტანისგანაა დამზადებული შავი PVD-საფარით. გაჯეტი აღჭურვილია ყვითელი ოქროს Rolex Cosmograph Daytona-ით, 40-მილიმეტრიანი დიამეტრითა და 8 ბრილიანტით. საათს სამი დეკორატიული ციფერბლატი აქვს. ეს უნიკალური აიფონი დამშვენებულია დინოზავრის 3D-გამოსახულებით, რომელიც თავისი ყვითელი თვალით, თქვენს კონკურენტებს შიშს მოჰგვრის. თვალი სუფთა ქარვისგანაა დამზადებული, – აცხადებენ გაჯეტის ავტორები.

# მარადონას უდიდესი პორტრეტი დახატეს

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, ლეგენდარული ფეხბურთელის, დიეგო მარადონას გამოსახულება გაჩნდა, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდია. მხატვარ-მონუმენტალისტის, მარტინ რონის შექმნილმა პორტრეტმა 14-სართულიანი შენობის კედელი დაამშვენა. უზარმაზარი გამოსახულება, რომლის ფართობიც 1600 კვადრატული მეტრია, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დროს გადაღებული ფოტოს მიხედვით დაიხატა. მაშინ არგენტინის ნაკრები გერმანიას ხვდებოდა. მხატვარმა და მისმა შვიდმა დამხმარემ პორტრეტის დახატვაზე 800 ლიტრი საღებავი და 25 დღე დახარჯეს.

# ოჯახს მოგებულ მილიონებს უმალავს

ჩინელმა მამაკაცმა, გვარად ლიმ, ლატარიაში ჯეკპოტი მოიგო, რომლის ოდენობამაც 219 მილიონი იუანი (28 მილიონი დოლარი) შეადგინა. თუმცა, იღბლიანი ჩინელი ამ ფაქტს ოჯახის წევრებს უმალავს. მიზეზი ის არის, რომ მამაკაცი შიშობს, ცოლი და შვილი აღარ იმუშავებენო. მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ, ლიმ ხუთი მილიონი იუანი ქველმოქმედებისთვის გაიღო. როგორ მოიხმარს დარჩენილ თანხას, ჯერჯერობით, არ გადაუწყვეტია.

# ბავშვი თვითმფრინავში გააჩინა

ამერიკელი ქალი, 21 წლის კენდრია როდენი დომინიკის რესპუბლიკაში მიფრინავდა, როცა მოულოდნელად მშობიარობა დაეწყო. ორსულობის 32-ე კვირაში მყოფი როდენი ოჯახთან ერთად სამოგზაუროდ მიემგზავრებოდა. თვითმფრინავის აფრენიდან ნახევარ საათში, 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე, ქალს სამშობიარო ტკივილები დაეწყო. კენდრიას დამ მაშინვე ეკიპაჟის წევრებს დაუძახა, მათ კი მგზავრებს შორის სამედიცინო განათლების მქონე პირების მოძიება დაიწყეს. ბორტზე ასეთი 4 მგზავრი აღმოჩნდა, ისინი ქალს დაეხმარნენ და მან 20 წუთში იმშობიარა. ახალშობილს სკაილენი დაარქვეს.

# მშვილდოსანი გინესის წიგნში მოხვდა

დანიელი მშვილდის მტყორცნელი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა – მან ზედიზედ შვიდი ისარი გააძვრინა გასაღების ჭუჭრუტანაში. რეკორდსმენს ლარს ანდერსენი ჰქვია და როგორც აღმოჩნდა, მისთვის სიახლე არ არის საკუთარი მშვილდისრით მსოფლიო რეკორდების დამყარება. მაგალითად, ანდერსენი ერთადერთი ადამიანია მსოფლიოში, ვისაც შეუძლია ათი ისრის გასროლა სულ რაღაც 4.9 წამში. სულ ცოტა ხნის წინ კი, მან აი, ასეთი რეკორდი დაამყარა – დანიელმა ოსტატმა ზედიზედ შვიდი ისარი გააძვრინა გასაღების ხვრელში, რომლის დიამეტრიც 10 მილიმეტრზე ნაკლები იყო. თანაც, ანდერსენი მიზნიდან საკმაოდ შორს, რამდენიმე ათეულ მეტრში მდებარეობდა. ლარსი ამბობს, რომ ამ შედეგს მან თავდაუზოგავი ვარჯიშების შედეგად მიაღწია.

# ნიკოტინის პრეზერვატივები მოწევის გადასაჩვევად

შვედმა სწავლულებმა მოწევისგან თავის დასაღწევად საკმაოდ ექსტრავაგანტული მეთოდი მოიფიქრეს. ნიკოტინის პლასტირების, საღეჭი რეზინებისა თუ ელექტრონული სიგარეტის ნაცვლად, ისინი ნიკოტინური პრეზერვატივების გამოყენებას გვთავაზობენ. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს არა მხოლოდ უარს გათქმევნებთ მავნე ჩვევაზე, არამედ, დაგიცავთ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და დაუგეგმავი ორსულობისგან. სიახლის ავტორების თქმით, პრეზერვატივი ორგანიზმს ნიკოტინის გარკვეულ დოზას მიაწვდის. აღსანიშნავია, რომ კომპანია Pharmacia Latex Aktiebolaget-თვის, რომელმაც სიახლე დაამზადა, ეს ექსპერიმენტი პირველი არ არის – ადრე ისინი კოფეინის შემცველ პრეზერვატივებს ყავის მოყვარულებისთვისაც უშვებდნენ.

# სკოლაში „უგებით“ მისვლა აკრძალეს

აშში, ქალაქ ფილადელფიის გარეუბანში მდებარე სკოლებში ბავშვებს ღიაყელიანი ფეხსაცმლით, მათ შორის, „უგებით“ მისვლა აუკრძალეს. მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეები ასეთ ფეხსაცმელებში მობილურ ტელეფონებს მალავენ. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა სკოლების დირექტორებისა და პედაგოგების უამრავი საჩივარი – ტელეფონები გამუდმებით რეკავენ და გაკვეთილები იშლებაო. სკოლებში მობილურები აკრძალულია, რის გამოც, ბავშვები მათ „უგების“ მსგავს ფეხსაცმელებში მალავენ. ახლა კი ამას ვეღარ შეძლებენ. ზოგიერთი მშობლის აზრით, გადაწყვეტილება ძალიან მკაცრია. ყველა ბავშვი არ არღვევს წესებს, ეს აკრძალვა კი ყველა მოსწავლეს დააზარალებს, – მიაჩნიათ მათ.

# მამას ნოუთბუქი „გაუწმინდა“

ჩინეთის პროვინცია შანდუნში, ორი წლის გოგონამ მამის დახმარება გადაწყვიტა, რომელიც ჭუჭყიანი კომპიუტერის გამო წუწუნებდა. ყოჩაღმა გოგომ ნოუთბუქი საპნით გარეცხა. როდესაც ბავშვის დედა სახლში დაბრინდა, აბაზანიდან ხმები შემოესმა. შიგნით შესულმა დაინახა, რომ აქაფებულ, წყლიან ტაშტში კომპიუტერი იდო. აღმოჩნდა, რომ ბავშვმა მოისმინა მამის ნათქვამი, ნოუთბუქში ბევრი ნაგავი დაგროვდა და გასაწმენდიაო. გოგონამ ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და ჩაძინებული მამის დახმარება გადაწყვიტა – სამი წლის წინ, ათას დოლარად შეძენილი „ეფლის“ კომპიუტერი გარეცხა. ბავშვის დედამ გააშრო გარეცხილი ტექნიკა, მაგრამ სამწუხაროდ, წყლის პროცედურების შემდეგ, აღარ ჩაირთო.

# კაკალი სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ზრდის

ყოველდღიურად ნიგვზის მოხმარება ნაწლავებში ზრდის სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სწავლულები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან. მათ ექსპერიმენტები ჩაატარეს, რომელშიც 30-დან 65 წლამდე ასაკის, ჭარბი წონის მქონე მოხალისეები მონაწილეობდნენ. მათ დიეტაში ნაჯერი ცხიმები შეცვალეს კაკლითა და მცენარეული ცხიმებით. ექვსკვირიანი ექსპერიმენტის შემდეგ გაირკვა, რომ ნიგვზის ყოველდღიური მოხმარება იწვევს სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის ზრდას ნაწლავებში. დღეში 50-80 გრამი ნიგოზიც კი დადებით გავლენას ახდენს ნაწლავების მიკროფლორაზე, ამცირებს გულის დაავადებების რისკს და ხელს უწყობს ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებას, – აცხადებენ ექსპერტები.

# ყავა კანს აახალგაზრდავებს

ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით, ყოველდღიურად ორი ფინჯანი ყავის დალევა კანის დაბერების პროცესს აფერხებს, რაც სასმელში არსებული ანტიოქსიდანტების წყალობითაა შესაძლებელი. ეს აღმოჩენა სკრენტონის უნივერსიტეტის სწავლულებს ეკუთვნით. მკვლევარები უარყოფდნენ მოსაზრებას, რომლითაც მზე და სუფთა ჰაერი ადამიანის ორგანიზმის ზოგიერთი სახის უჯრედის დაბერებას იწვევს. საქმე ისაა, რომ ჟანგბადი უჯრედის დაშლას პროვოცირებს, ქარს კი შეუძლია კანის დაჭკნობის პროცესი დააჩქაროს. თავის მხრივ, ანტიოქსიდანტები, რომლებსაც ყავა შეიცავს, ჟანგბადის საშიში ფორმების ანუ თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებას ახდენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კვლევებმა „ღვთაებრივი სასმელის“ სხვა პოზიტიური თვისებებიც აღმოაჩინა. კერძოდ, ყავა თავის ტვინის მუშაობას აუმჯობესებს, რადგან იმ ნაწილზე ზემოქმედებს, რომელიც ყურადღებასა და მეხსიერებაზეა პასუხისმგებელი. მეცნიერების თქმით, ყავას შეუძლია, ადამიანს სიბერეში თავიდან ააცილოს მეხსიერების დაკარგვა და დაბნეულობა, შეამციროს დიაბეტის რისკი, ასევე, ღვიძლის ციროზის განვითარების ალბათობა.

# უმდიდრესი გარდაცვლილები დაასახელეს

ჟურნალმა „ფორბსმა“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი გარდაცვლილი ცნობილების სია შეადგინა. მასში 13 ადამიანი შევიდა, რომელთა მემკვიდრეობამაც 2021-2022 წლებში ყველაზე მეტი შემოსავალი მოიტანა წლებში. გათვალისწინებული იყო გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი, სტრიმინგ-პლატფორმებზე მოსმენები, ასევე, სალიცენზიო გარიგებები. წლევანდელ რეიტინგს სათავეში უდგას „ბეჭდების მბრძანებლის“ ავტორი, ჯონ ტოლკინი. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მისი შემოსავალი 500 მილიონი დოლარით გაიზარდა. მეორე ადგილზე გამოცემამ კალათბურთელი კობი ბრაიანტი გაიყვანა, რომელმაც წელიწადში 400 მილიონი „გამოიმუშავა“. მესამე საფეხურზე აღმოჩნდა ბრიტანელი მუსიკოსი დევიდ ბოუი – მისი შემოსავლები 250 მილიონი დოლარით გაიზარდა. უმდიდრეს გარდაცვლილთა ტოპ-ათეულში შევიდნენ, ასევე, ელვის პრესლი – 110 მილიონი დოლარით, ჯეიმს ბრაუნი – 100 მილიონით, მაიკლ ჯექსონი – 75 მილიონით, კანადელი პოეტი და მომღერალი, ლეონარდ კოენი – 55 მილიონით, ამერიკელი საბავშვო მწერალი, თეოდორ სიუზი – 32 მილიონით, როკ-ჯგუფ Toto-ს დრამერი, ჯეფ პორკარო – 25 მილიონით და მხატვარ-კარიკატურისტი, ჩარლზ შულცი – 24 მილიონით.

# ტიტულზე უარი ტურისტების გამო თქვეს

ესპანეთის ყველაზე ლამაზმა სოფელმა სიურანამ ტიტულზე უარი თქვა, რადგან ტურისტების მოზღვავების შეეშინდა. ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ პატარა დასახლებაში ისედაც ბევრი სტუმარი ჩადის და მათ კიდევ უფრო დიდ რაოდენობას, უბრალოდ, ვერ გაუმკლავდებიან. სიურანაში სულ 30 მუდმივი მცხოვრებია, ზაფხულობით მათ კიდევ რამდენიმე ადამიანი ემატება. სოფელი კატალონიაში, ტარაგონას პროვინციაში მდებარეობს, ბარსელონადან 140 კილომეტრში. კირქვის კლდეები, რომელიც გარს აკრავს სოფელს, საკმაოდ პოპულარულია ალპინისტებსა და ტურისტებს შორის. გარდა ამისა, აქაურობა ბოლო მუსლიმანური ანკლავი იყო, რომელიც ქრისტიანებმა 1153 წელს აიღეს. ამ მოვლენის აღსანიშნავად, სიურანაში ჯვარი აღმართეს.

# მგზავრებს ავტობუსებში სიმღერა აუკრძალეს

კანადის ქალაქ ვინიპეგის ხელისუფლება ახალი აქტის მიღებას აპირებს, რომლის მიხედვითაც, ქალაქის მცხოვრებლებს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, სიმღერა აეკრძალებათ. კანონდამღვევი ფულადი ჯარიმით – 100 დოლარით დაისჯება. ახალი აქტი მგზავრებს უკრძალავს სიმღერას, დაკვრას მუსიკალურ ინსტრუმენტებზე ან ნებისმიერი წარმოდგენის შეთავაზებას ნებისმიერ საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ქალაქის მერის თქმით, აკრძალვის ძირითადი მიზანი მგზავრების ზედმეტი ხმაურისგან დაცვაა. ადამიანებს აქვთ უფლება, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სიმშვიდესა და სიჩუმეში იმგზავრონ.

## შიმშილით სიკვდილისგან უპილოტოები გვიხსნის



შვეიცარიელმა სწავლულებმა ლოზანას ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან, უპილოტო საფრენი აპარატი შექმნეს, რომლის კონსტრუქციის ნაწილიც საკვებად ვარგისი მასალისგან ააწყვეს. მისი მიზანი იმ ადამიანების გადარჩენაა, რომლებიც საგანგებო სიტუაციებში აღმოჩნდებიან – დამატებითი კალორიები მათ მაშველების მისვლამდე გაძლებაში დაეხმარება. აპარატს საჭმელად ვარგისი ფრთები აქვს, რომელიც ბრინჯის ფქვილისგანაა დამზადებული. სპეციალისტების აზრით, ასეთი უპილოტოები ეფექტიანი იქნება იმ ადამიანებისთვის საკვების მისაწოდებლად, სადაც გარკვეული მიზეზების გამო, ჭირს მისი მიღება. ამ მომენტისთვის მკვლევარები მუშაობენ, რაც შეიძლება მეტი არასაკვები მასალა შეცვალონ საკვებად ვარგისით და კონსტრუქციაში წყლისთვის განკუთვნილი რეზერვუარიც ჩაამატონ.

## თამაშებით გატაცება დაავადებად აღიარეს

ამიერიდან, ვიდეოთამაშებით გატაცება ოფიციალურად ითვლება დაავადებად. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადებების განახლებული კლასიფიკაცია საკუთარ საიტზე გამოაქვეყნა. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, კომპიუტერული თამაშებით ზედმეტად გატაცება ფსიქიკური აშლილობების რიცხვს განეკუთვნება. შესაბამისი დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია, ერთი წლის განმავლობაში, ადამიანს აღენიშნებოდეს „სათამაშო აშლილობის“ ნიშნები, რაც ნეგატიურად აისახება მის სოციალურ, პროფესიულ და ოჯახურ ცხოვრებაზე. დიაგნოზი კი მხოლოდ სწავლებაგავლილმა პროფესიონალმა მედიკოსმა უნდა დასვას.

## ბეჭდის საყიდლად ბანკი გაძარცვა

აშშ-ში, ტეხასის ქალაქ გროვტონში, მამაკაცმა საკუთარი ქორწილის წინა დღეს ბანკი იმიტომ გაძარცვა, რომ მომავალი მეუღლისთვის ბეჭედი ეყიდა. ჰიტ ბამპუსი Citizens State Bank-ის შენობაში შეიჭრა და ფული მოითხოვა. მან მოლარე გააფრთხილა, რომ შეიარაღებული იყო. სამართალდამცველების თქმით, ძარცვის შემდეგ ბამპუსმა ტანსაცმელი და იარაღი ავტომანქანის ფანჯრიდან გადაყარა, რომელიც პოლიციამ მალევე იპოვა. გარდა ამისა, ბანკის სათვალთვალო კამერის კადრები სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა, რომელშიც ეჭმიტანილი ჩანდა. მამაკაცის საცოლემ კადრებში მომავალი მეუღლე ამოიცნო და მას პოლიციაში მისვლა მოსთხოვა. საბოლოოდ, სიძე სამართალდამცველებს თავად ჩაბარდა. ბამპუსმა ნაძარცვი თანხის დიდი ნაწილი დააბრუნა. ის დააკავეს და ძარცვაში დასდეს ბრალი.

# ბავშვს სქესის შეცვლის ნება მისცეს

ხუთი წლის ბრიტანელი ბავშვი ქვეყნის ყველაზე ახალგაზრდა მცხოვრებია, რომელსაც მედიკოსებმა „გენდერული იდენტურობის აშლილობის“ დიაგნოზი დაუსვეს. ზაკ ეივერის დედის თქმით, ის ჩვეულებრივი ბავშვი იყო და ძმასთან ერთად, მანქანებით თამაშობდა, მაგრამ რაღაც მომენტში, პრინცესებიანმა მულტფილმებმა გაიტაცა, რის შემდეგაც მისი მსოფლმხედველობა მკვეთრად შეიცვალა. სამი წლის ასაკში, ზაკმა დედას განუცხადა, მე გოგო ვარო. თავიდან მშობლებმა იფიქრეს, რომ ეს თამაში იყო და ყურადღება არ მიაქციეს. მაგრამ ბიჭი მოითხოვდა, მისთვის გოგოსავით ჩაეცვათ. როცა ის ფსიქოლოგს მიუყვანეს, მისგან ვერდიქტიც მოისმინეს: „თქვენს ბიჭს გოგოს ტვინი აქვს, სხეული კი – ბიჭის“. როდის აისრულებს ზაკი ოცნებას და გოგოდ გადაიქცევა, ჯერჯერბით, არავინ იცის.

# ტოკიოში ბამბის ბარი გახსნეს

იაპონიის დედაქალაქის ცენტრში ბარი გაიხსნა, რომელშიც მსურველს შეუძლია, თავი მრთველის როლში მოსინჯოს და ბამბის ქულასგან ძაფი დაამზადოს. დაწესებულებაში – Tokyo Cotton Village, ყველა კლიენტს უფასოდ ეძლევა ბამბა და სართავი. მას შეუძლია, იჯდეს კაფეში და რამდენიც უნდა, სცადოს ძაფის დართვა, თან კოქტეილი ან ყავა მიირთვას. ოფისების უამრავი თანამშრომელი, კვირაში რამდენჯერმე შედის ამ დაწესებულებაში, რათა სამუშაოსგან დაისვენოს და ამ მედიტაციურ საქმიანობაში ჩაეფლოს. ღამდენიმე წლის წინ, ბარის მფლობელმა ფერმა იყიდა, სადაც ბამბა მოჰყავდათ, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ იაფ იმპორტს ვერ გაუმკლავდებოდა და საკუთარ პროდუქციას ვერ გაყიდდა. ამიტომ, მოიფიქრა, რომ ბამბა საკუთარ ბარში კლიენტების მისაზიდად გამოეყენებინა. ეს გათვლა სწორი აღმოჩნდა და მისი მოლოდინიც გამართლდა – დაწესებულებას კლიენტები არ აკლია.

# მარწყვს ატმის გემო აქვს

იაპონელი სპეციალისტები დაუღალვად მუშაობენ იმაზე, რომ საკუთარი ნახელავით მსოფლიო კიდევ ერთხელ გააოცონ. ამჯერად, ამომავალი მზის ქვეყანაში ახალი მარწყვი გამოიყვანეს, რომელსაც ატმის გემო აქვს. გარეგნულად ეს ხილი უფრო ღია ფერისაა, ვიდრე ჩვეულებრივი, შიგნიდან კი, პრაქტიკულად, თეთრია. უცნობია, როგორ მიიღწევა უცხო გემოს ეფექტი, მაგრამ მისი ღირებულება საკმაოდ შთამბეჭდავია – ერთი ცალი ასეთი მარწყვის ფასი 11 დოლარია. იაპონური ბაზრის კიდევ ერთი სიახლე კვერცხია, რომელსაც იაპონური ლიმნის – იუძუს არომატი აქვს. აქ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ არავითარ ქიმიას ადგილი არ აქვს. საიდუმლო ქათმების რაციონშია, რომელშიც ეს ლიმონიც შედის. 10 ცალი ასეთი კვერცხის ფასი 4 დოლარზე ცოტა მეტია.

# ღეროვან უჯრედებს ახალი მეთოდით მიიღებენ



ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიამ განაცხადა, რომ მათმა სწავლულებმა ღეროვანი უჯრედების გადაპროგრამებისა და ინდუცირებული ღეროვანი უჯრედების ანუ არაემბრიონული მასალისგან მიღების ახალი მეთოდი აღმოაჩინეს. ცოტა ხნის წინ ჩატარებული კვლევები ცხადჰყოფს, რომ აუტოფაგია – უჯრედების გენერირების პროცესი არ ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლს გადაპროგრამებაში, როგორც ეს ადრე მიაჩნდათ. აუტოფაგია ანუ ურედის მიერ საკუთარი თავის შთანთქმა – ეს უჯრედული კომპონენტების ნაწილობრივი დეგრადირების პროცესია, რაც შიმშილით ან დაზიანებითაა გამოწვეული იმისთვის, რომ შემდგომ დანაკლისს თავი ავარიდოთ. ის უჯრედები, რომლებიც არ დაემორჩილნენ აუტოფაგიას, გაცილებით ეფექტიანად გადაპროგრამირდებიან და მათ ნორმალური თვისებები აქვთ, – აცხადებენ ჩინელი ბიოლოგები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.